



**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია); ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა); სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)

**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღი: 2023 წლის 24-25 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 9 ოქტომბერი

თბილისი, 2023 წელი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	Error! Bookmark not defined.
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	62
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	29
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
დაწესებულების ტიპი	სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სარა ბენეტი, სახვითი ხელოვნების დოქტორი, კინგსტონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; EQ-Arts, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა ხაბულიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასოცირებული პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა შანშიაშვილი, ხელოვნების ისტორიკოსი, საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ბერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი ექსპერტი)

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია)	ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა)	სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე 6	დონე 7	დონე 8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	სადოქტორო
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის უფლების მითითება ¹			
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	60 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	25.11.2011, #12 გადაწყვეტილება #337	02.08.2012 გადაწყვეტილება #283	02.08.2012 #9 გადაწყვეტილება #288

¹(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

კლასტერში დაჯგუფებულია სამი საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, რომლებსაც აერთიანებს დეტალური სფერო „ხელოვნების ისტორია და თეორია (Art Studies)“. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ოცდაათი წელია არსებობს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. რეფორმის პირობებში მან ფუნდამენტური ცვლილება განიცადა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია 2011 წელს მიიღო, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა 2012 წელს. ზემოაღნიშნული პროგრამებისთვის დამახასიათებელი ის იყო, რომ აკრედიტაციის პერიოდში პროგრამა აგებული იყო სახელოვნებო მეცნიერებათა სხვა მიმართულებებთან სინთეზში და ბაკალავრიატის დონეზე აერთიანებდა სამ სპეციალობას - თეატრმცოდნეობას, კინომცოდნეობასა და ხელოვნებათმცოდნეობას. შესაბამისად, პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია სახელწოდებით „ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)“; ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურები აერთიანებდა 4 მიმართულებას - თეატრმცოდნეობას, კინომცოდნეობას, ხელოვნებათმცოდნეობას და ქორეოლოგიას. ბოლო წლებში საგანმანათლებლო რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ხელოვნებათმცოდნეობის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებმა ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა და შესაბამისობაში მოვიდა არსებულ მოთხოვნებთან. თავდაპირველი პროგრამები (სამივე საფეხურზე) დაიყო რამდენიმე პროგრამად სპეციალიზაციების მიხედვით, რაც შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროებში მოცემულ კლასიფიკაციას. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგი სამივე დონეზე დაიყო ცალკეულ პროგრამებად და გაიარა გარკვეული შინაარსის კორექტირება-განახლება, დარგის შესაბამისი კურსების დამატებით, გასული წლების გამოცდილებითა თუ ბაზრის კვლევასა და გამოკითხვებზე დაყრდნობით და ა.შ. (საბაზო კურსების დამატება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შექმნილი კურსები, დოქტორანტურის დონეზე სემინარების მეთოდოლოგიურად მორგება და ა.შ.). ამჟამინდელი პროგრამებია: ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია); ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და კონსერვაცია); ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში).

- ბაკალავრიატის სტატისტიკა: აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობაა 26; აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 26; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა 5; აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 26.

²პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- მაგისტრატურის სტატისტიკა: აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობაა 3; აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 12; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა 3; აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 12.
- დოქტორანტურის სტატისტიკა: აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობაა 3; აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 9; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა 3; აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 9.
- ხელმძღვანელთა თანაფარდობა სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომებთან არის 1,67

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- აკრედიტაციის ვიზიტის წინ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტებს. შემდეგ ისინი ორჯერ შეხვდნენ: ჯერ 2023 წლის 10 ივლისს გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, შემდეგ კი 2023 წლის 19 ივლისს, რათა განეხილათ ნებისმიერი საკითხი და შეკითხვა ვიზიტისთვის მოსამზადებლად. ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი კითხვები აიტვირთა ონლაინ დღის წესრიგში.
- აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2023 წლის 24 და 25 ივლისს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (TAFU), ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 19, 0108.
- ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა: რექტორს, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ფინანსურ მენეჯერს; თვითშეფასების ანგარიშის (SER) გუნდს; პროგრამების ხელმძღვანელებს; აკადემიურ პერსონალს; მოწვეულ ლექტორებს; სტუდენტებს (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა); დოქტორანტებს (PhD); სამივე პროგრამის კურსდამთავრებულებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორი); დამსაქმებლებს; და ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებს. წინასწარი მიგნებების ზეპირ პრეზენტაციამდე გაიმართა დამატებითი შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან.
- ადგილზე ვიზიტის მეორე დღის შუა ნაწილში, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა TAFU-ის შენობები, ნახა ბიბლიოთეკა და მისი მარაგი (მათ შორის ონლაინ რესურსები). ექსპერტთა ჯგუფმა ასევე იხილა სემინარების ოთახები, აუდიტორიები და თეატრის ობიექტები. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა მეორე შენობაც, სადაც განთავსებულია კინოსა და ტელევიზიის სივრცეები და გალერეა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამივე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება საერთო ჯამში დადებითი იყო. საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მეტწილად შეესაბამება პირველი სტანდარტის მოთხოვნებს: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. სამივე პროგრამა შეესაბამება მეორე სტანდარტის მოთხოვნებს: 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. სამივე პროგრამა შეესაბამება მესამე სტანდარტის მოთხოვნებს: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა. სამივე პროგრამა შეესაბამება მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებს: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.

სამივე პროგრამა შეესაბამება **მეხუთე სტანდარტის** მოთხოვნებს: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

რეკომენდაციები:

1.1.2. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ჯგუფმა დოქტორანტურისთვის დაამატოს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პროგრამის მიზანი.

1.2.2 რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატოს - „ანალიზი“.

1.2.5 რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ხელახლა, უფრო დეტალურად დაიწეროს, რათა ამით სადოქტორო პროგრამის ჯგუფმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგები, და ასევე მკაფიოდ მიუთითოს ინტერდისციპლინური კვლევა.

1.3.1 რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, კლასტერში მოცემული პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

1.3.2 რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში და შეფასების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის.

2.4.1 რეკომენდებულია, დამხმარე ლიტერატურა სამივე პროგრამაში არ იყოს სავალდებულო და არ იმოქმედოს სტუდენტის ქულაზე.

2.4.2 რეკომენდებულია, უსდ-მ ამოიღოს გადასწრება/აქტივობაზე გამოყოფილი 15 ქულა.

2.4.3 რეკომენდებულია, საბაკალავრო პროგრამის წერითი დავალებები და მათზე გამოყოფილი ქულები გაიზარდოს და უფრო დეტალური გახდეს.

2.4.4 რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის წერითი დავალებების გრაფები და მათზე გამოყოფილი ქულები გაიზარდოს და უფრო დეტალური გახდეს.

5.1.1 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის მიზნით რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა თვითშეფასების პროცესში.

5.1.2 რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასების შემთხვევაში) და ამ პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის:

1.1.1 სასურველია, პროგრამის გუნდი დაფიქრდეს სამაგისტრო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული მიზნის დამატებაზე.

1.2.1. სასურველია, საბაკალავრო პროგრამაში დაემატოს სწავლის შედეგი, რომელიც კონკრეტულად სამუშაო სფეროს უკავშირდება.

1.2.3 სამაგისტრო პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი ზედმეტად გრძელია და სასურველია დაიყოს ორ კონკრეტულ სწავლის შედეგად და შეჯამდეს.

1.2.4. სასურველია საბაკალავრო პროგრამის მე-4 სწავლის შედეგს დაემატოს სამუშაო ადგილისთვის მომზადება.

1.4.1. სასურველია, კლასტერში მოცემული პროგრამებისთვის აკადემიური წერის არსებული კურსების განახლება/მოდიფიცირება, სტუდენტების წერთი უნარების გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით, მათი სასწავლო დონის შესაბამისად.

1.4.2 მიზანშეწონილია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის სტუდენტებმა დაიცვან ერთ-ერთი საერთაშორისოდ აღიარებული სტილის სახელმძღვანელო, რადგან ეს დაეხმარება სტუდენტებს გაიგონ ამ სტანდარტების მოთხოვნები, რაც გამოადგებათ მომავალში საერთაშორისო აკადემიურ პუბლიკაციებში ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

1.4.3 მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს კლასტერში 21-ე საუკუნის ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებასთან დაკავშირებული თემების ჩართვა.

1.5.1 მიზანშეწონილია, კლასტერმა გაითვალისწინოს თემები, რომლებიც ასახავს მიმდინარე (21-ე საუკუნე), უახლეს მიღწევებსა და ტენდენციებს სფეროში - კლასტერში.

1.5.2 მიზანშეწონილია, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერმა განავითაროს ურთიერთკავშირი კინოსა და თეატრის დისციპლინებთან.

1.5.3 მიზანშეწონილია, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მოხდეს ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და ანტროპოლოგიის დისციპლინის დიფერენციაციის უფრო მკაფიო იდენტიფიცირება.

1.5.4 მიზანშეწონილია, რომ სემესტრში 3 ECTS მოდულის რაოდენობა განიხილულ იქნეს ბაკალავრიატის სტუდენტებთან, რათა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ეს მათთვის პრობლემას სამუშაო დატვირთვის თვალსაზრისით.

2.1.1 მიზანშეწონილია, დაწესებულებამ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია სამაგისტრო პროგრამას მეტი სტუდენტის მოსაზიდად.

2.1.2 მიზანშეწონილია, თემის პროექტები შემოწმდეს ნებისმიერი აკადემიური გადაცდომის მხრივ, სანამ დოქტორანტების გასაუბრება ჩატარდება.

2.1.3 მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია სადოქტორო პროგრამას მეტი სტუდენტის მოსაზიდად.

2.2.1 მიზანშეწონილია, რომ „პრაქტიკის დღიურის შაბლონი“ გადაიხედოს კლასტერისთვის, რათა მოიცავდეს მასპინძელი ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპებს.

2.2.2 მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტმა ჩართოს ორგანიზაციების უფრო ფართო სპექტრი, როგორც პრაქტიკის პროვაიდერები, როგორცაა კულტურული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, თანამედროვე ხელოვნების გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რაც თავის მხრივ, გაამრავალფეროვნებს სტუდენტების უნარებს და შესაბამისად, მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებს.

2.2.3 მიზანშეწონილია, „მეწარმეობა კულტურის სფეროში“ კურსის მსგავსი კურსის ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამაში, სტუდენტებისთვის თვითდასაქმებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით.

3.1.1 მიზანშეწონილია, დოქტორანტების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერით, აგრეთვე მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებით.

4.3.1 მიზანშეწონილია, კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო კონფერენციისა და პუბლიკაციების ფონზე, უნივერსიტეტმა მიმართოს ძალისხმევა საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის გაზრდისკენ.

4.4.1 მიზანშეწონილია, დაწესებულებამ განიხილოს 21-ე საუკუნის მხატვრული პროცესების და უახლესი მიღწევებისა და ტენდენციების შესახებ პუბლიკაციების შექმნა ან მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4.4.2 უნივერსიტეტს ვურჩევთ, ბიბლიოთეკა გახდეს უფრო მოსახერხებელი და კომფორტული ადგილი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის და უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისი, როგორცაა ინდივიდუალური სასწავლო კაბინები და ონლაინ დაჯავშნის სისტემა.

4.5.1 სასურველია, მომავალში შემუშავდეს ბიუჯეტის უფრო დახვეწილი შაბლონი, რომელსაც თან ახლავს ნარატივი, რომელიც ახსნის დეტალებს დაფინანსების წყაროების, ხარჯების ტიპებისა და განაწილების შესახებ.

5.2.1 სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ იარსებებს რამე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

ამ კლასტერისთვის მნიშვნელოვანი და რელევანტური მოვლენაა, 2022 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებს შორის მიმდინარე ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებას; ამ პროცესს ხელმძღვანელობს TAFU-ს ხელოვნების ისტორიის პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფი ამას კარგ პრაქტიკად მიიჩნევს.

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენცია შესაძლებლობაა პროგრამის პერსონალისთვის (მათ შორის მოწვეული პერსონალისთვის და დოქტორანტებისთვის) წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები უფრო ფართო საერთაშორისო სამეცნიერო წრეში. კონფერენციის მასალები, მოხსენებები და პრეზენტაციები გამოქვეყნებულია ჟურნალში- „International Journal of Art and Media Studies“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. ექსპერტთა ჯგუფი ამას კარგ პრაქტიკად მიიჩნევს.

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს, რომ ყურადღება გაამახვილა არგუმენტირებულ პოზიციაზე; მისი განხილვის შემდეგ, მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილებები:

რეკომენდაცია 1.1.2

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ ინტერნაციონალიზაცია არის „სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი“ და სწორედ ამიტომ გაკეთდა რეკომენდაცია ამაზე. სადოქტორო პროგრამის მიზნები მხოლოდ გაკვრით მიუთითებს ინტერნაციონალიზაციაზე და მაშინაც კი, როდესაც ნათქვამია, რომ პროგრამა „მიზნად ისახავს განსაკუთრებული ყურადღების დათმობას ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის კვლევაზე...“ ეს არ მოითხოვს ცალსახად საერთაშორისო მნიშვნელობის სადოქტორო კვლევას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები საგანმანათლებლო პროგრამის ხერხემალია და ეს განხილვის პროცესი იძლევა შესაძლებლობას, რომ დავრწმუნდეთ რამდენად შეესაბამება

³პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ისინი აკრედიტაციის პერიოდისთვის საჭირო მიზნებს და, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ ეს რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 1.2.2.

ეს რეკომენდაცია, მართლაც რომ, პირდაპირი მნიშვნელობით, ერთი სიტყვის დამატებას გულისხმობს, მაგრამ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში მისი არარსებობა ძალიან მნიშვნელოვანი გამოტოვებაა, აქედან გამომდინარეობს ამ რეკომენდაციის მიზეზიც. პროგრამის სწავლის შედეგები მასწავლებელსა და სტუდენტს მითითებას აძლევს სასწავლო გეგმის შინაარსთან და სწავლის, სწავლების და შეფასების სტრატეგიებთან დაკავშირებით და ეფუძნება ევროპულ და ეროვნულ კვალიფიკაციის აღმწერებს/სამიზნე ნიშნულებს, ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მაქსიმალურად ყოვლისმომცველი იყოს იყოს ამ აკრედიტაციის პერიოდისთვის. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ ეს რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ აღიარებს, რომ მასზე რეაგირება შეიძლება სწრაფად.

რეკომენდაციები 1.2.5, 1.2.6 და 1.2.7

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ ამ რეკომენდაციებში ხდება არსის გამეორება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება გააერთიანოს ის ერთ რეკომენდაციაში - 1.2.5, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ხელახლა, უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს.

რეკომენდაცია 1.3.1.

მოცემული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი მუშაობს აკადემიურ პერსონალად და ამიტომ არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, ზოგი კი შესაძლოა იყოს დაკავებული თავისი საქმით და ვერ პოულობდეს დროს ამ პროცესში აქტიურად ჩართვისთვის. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა როგორც დამსაქმებლებს, ასევე კლასტერში მოცემული პროგრამების კურსდამთავრებულებს; ინტერვიუებში ხაზგასმულია, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია პროგრამის შედეგებისა და მისი შეფასების შესახებ. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ ეს რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 1.3.2.

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული მოცემული პროგრამების სწავლის შედეგებზე მუშაობისას, ამის გადამოწმება ფაკულტეტის საბჭოების განცხადებებითაც არის შესაძლებელი. ექსპერტთა ჯგუფმა წაიკითხა წარდგენილი დოკუმენტი და ადგილზე ვიზიტის დროს ცდილობდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან გაეგო, იცნობდნენ თუ არა ისინი პროგრამების სწავლის შედეგებს და რამდენად აქტიურად იყვნენ ჩართულები შემუშავების პროცესში. როგორც ანგარიშშია აღწერილი, აკადემიური პერსონალის უმრავლესობა, ისევე როგორც მოწვეული მასწავლებლები, ვერ იხსენებდნენ პროცესში ჩართულობის შემთხვევას; პროცესში ჩართულობა ახსენა მხოლოდ ერთმა აკადემიურმა თანამშრომელმა (და ეს იყო პროფესორი,

რომელიც პარალელურად მუშაობს ხარისხის ოფისში). ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უფრო მეტი პროფესორ-მასწავლებლის (როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი) ჩართვა პროგრამის შედეგებზე და მის შეფასებაზე მუშაობისას გააუმჯობესებს პროცესის საერთო ხარისხს, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება ისე, როგორც იყო მოცემული დასკვნის პროექტში.

რეკომენდაცია 1.4.1.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული არგუმენტი, რომ იმ სილაბუსების თანაფარდობა, რომელიც შესწორებას საჭიროებს იმ სილაბუსების რაოდენობასთან, რომელიც არ საჭიროებს, ამ უკანასკნელის სასარგებლო მაჩვენებელზეა; აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ეს რეკომენდაცია შეიძლება შეიცვალოს რჩევად, მითუმეტეს რომ 2.4-ში მოცემულია რეკომენდაციები აკადემიურ წერასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია 2.2.1.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული არგუმენტი და ხელახლა გადაიკითხა მემორანდუმების შესახებ მოწოდებული მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა ამ რეკომენდაციას, და მართებულად წაშალა იგი აკრედიტაციის ანგარიშიდან. შესაბამისად, სამივე პროგრამა შეესაბამება 2.2.-ს.

რეკომენდაცია 2.3.1.

ექსპერტთა ჯგუფი მაღლობას უხდის პროგრამის გუნდს რომ განმარტა, თუ როგორ წარმოიშვა გაუგებრობა თარგმანის გამო ჯგუფურ მუშაობასთან/ჯგუფში მუშაობასთან/გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ეს და სათანადოდ წაშალა ეს რეკომენდაცია აკრედიტაციის ანგარიშიდან. შესაბამისად, სამივე პროგრამა შეესაბამება 2.3.-ს.

რეკომენდაცია 2.4.1.

უნივერსიტეტი ეთანხმება ამ რეკომენდაციას, შესაბამისად ის არ შეიცვლება.

რეკომენდაცია 2.4.2.

თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები უპირატესობას ანიჭებს მოქნილ სწავლას. სტუდენტებისთვის თავისუფლების მინიჭება, რომ დამოუკიდებლად მართონ ლექცია-სემინარებზე დასწრება, ავითარებს აკადემიურ პასუხისმგებლობას, ამზადებს მათ პროფესიული დისციპლინისთვის. ეს მიდგომა შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს და ხელს უწყობს უფრო ღრმა ფოკუსირებას გააზრებასა და კრიტიკულ აზროვნებაზე. უფრო მეტიც, ის უზრუნველყოფს ინსტიტუტის უფრო მეტ მოქნილობას სხვადასხვა შედეგის შესაფასებლად. ამჟამად, სილაბუსი აფასებს მინიმუმ 4 აქტივობას, რაც მოითხოვს მინიმუმ 4 დასწრებას. 15 ქულის გადანაწილებით, უნივერსიტეტს აქვს მოქნილობა, გაზარდოს საჭირო დასწრების რაოდენობა ერთი ან ორით, ისე რომ გადაცდეს მინიმალურ მოთხოვნას. ეს კორექტირება არ შეაფერხებს საუნივერსიტეტო შედეგების მიღწევას; უფრო მეტიც, ის

დამატებით შესაძლებლობებსა და თავისუფლებას ანიჭებს როგორც უნივერსიტეტს, ასევე სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ ეს რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაციები 2.4.3; 2.4.4; 2.4.5 და 2.4.6

სილაბუსიდან ჩანს, რომ შუალედური გამოცდა უპირველეს ყოვლისა აფასებს სტუდენტების მიერ საგნის გაგებას და არა მათი აკადემიური წერის უნარებს. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური წერა არის კრიტიკული უნარი როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, 100-დან მხოლოდ 5 ქულის გამოყოფა არასაკმარისია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ უნარისთვის უფრო მაღალი კრედიტების მინიჭება აუცილებელია.

ვეთანხმებით, რომ ენის გამართულად ცოდნა, გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება, წყაროების მითითების სისწორე, სტილის სტანდარტების დაცვა და სამეცნიერო წერა ფასდება 5-5, 10-10 და 30 ქულით, მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ ეს არის გამჭვირვალე და დეტალური შეფასების სქემა. 10 და 30 ქულიანი სხვაობა მიუღებელია.

უნივერსიტეტის პასუხის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გააერთიანა რეკომენდაციები 2.4.3 და 2.4.4 ერთ რეკომენდაციად საბაკალავრო პროგრამისთვის: 2.4.3. და ასევე მოახდინა 2.4.5 და 2.4.6-ის რეკომენდაციების კონსოლიდირება ერთ რეკომენდაციად სამაგისტრო პროგრამისთვის: 2.4.4.

რეკომენდაცია 5.1.1

უნივერსიტეტი მიუთითებს იმაზე, რომ არსებული პროცედურების მიხედვით, შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი და მომზადდა კლასტერში არსებული პროგრამებისთვის მოცემული თვითშეფასების ანგარიში. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა თვითშეფასების ჯგუფს, ასევე აკადემიურ პერსონალს და გაარკვია, რომ აკადემიური პერსონალი ძირითადად ორიენტირებულია მხოლოდ კურსის სილაბუსზე და არა პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე, სწავლის შედეგებსა და მის შეფასებაზე, ეს უფრო დეტალურად აღწერილია დასკვნის პროექტში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს ან კორექტირდეს, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აკადემიური პერსონალი უფრო მეტად იყოს ჩართული თვითშეფასების პროცესში.

რეკომენდაცია 5.2.1

უნივერსიტეტი ეთანხმება ამ რეკომენდაციას, შესაბამისად ის არ შეიცვლება.

ფაქტობრივი უზუსტობები

ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისად შეასწორა პროგრამის აღნიშვნები და კვალიფიკაციები მთელს ანგარიშში, მაგრამ თავაზიანად აღნიშნა, რომ სიტყვათა ფორმულირება არ არის თანმიმდევრული თვითშეფასების ანგარიშში (იხილეთ

სათაურის გვერდი და ცხრილები 3-5 გვერდებზე), სწორედ ამიტომ წარმოიშვა ექსპერტთა ჯგუფში გარკვეული დაბნეულობა.

ყველა ორთოგრაფიული და ტექნიკური ხარვეზი გამოსწორდა.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული

შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მიზნები, იზიარებს სამ საერთო მიზანს, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშშია მოცემული. პირველი არის ხელოვნების სფეროების - სახელოვნებო მეცნიერებების კვლევის განვითარება და ექსპერტთა ჯგუფი ხედავს, რომ ეს მიზანი სრულად ემთხვევა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განცხადებას ვებგვერდზე, რომელიც მიზნად ისახავს დარგის განვითარებას და კვლევას ხელოვნების სფეროში, რათა აღზარდოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პროფესიონალები. მისიის ბოლო ნაწილი, რომელიც ეხება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და პროფესიონალებს, მიუთითებს ერთიანი და საერთო პროგრამის მიზნებიდან მეორე მიზანზე, რომელიც არის შრომის ბაზრის უზრუნველყოფა სახელოვნებო პროდუქტების კვალიფიციური მკვლევარებით - თეორეტიკოსებით, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან მზარდ მოთხოვნებზე და დასაქმების ბაზრის საჭიროებებზე [...] პროგრამების შედეგად მიღებული დარგობრივი ცოდნით, უნარებითა და ზოგადი კომპეტენციებით. აღნიშნული მიზანი კლასტერში კონტექსტუალიზებულია იმით, რომ ამ კვალიფიციურ მკვლევარებს უნდა შეეძლოთ წვლილი შეიტანონ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზე. ეს არის ამბიციი, რომელიც ეხმიანება უნივერსიტეტის გაცხადებულ მისიას იყოს გამოცდილების გაზიარების, შემოქმედებითი ურთიერთობებისა და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრი.

პირველი საერთო მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული თითოეული პროგრამის ცალკეულ მიზანში, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს განსხვავებული ფოკუსირება: ბაკალავრიატი არის

ხელოვნების ისტორიის საფუძვლების ფართო ცოდნა, კერძოდ, არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების ისტორიის (მსოფლიო და ქართული); მაგისტრატურაში ყურადღება გამახვილებულია ქართულ ხელოვნებაზე, ერთის მხრივ კონცენტრირებულია ძველ ხელოვნებაზე, როგორც კულტურული მემკვიდრეობაზე და მის აღდგენასა და შენარჩუნებაზე, მეორეს მხრივ კი მე-20 საუკუნის ხელოვნებაზე; სადოქტორო პროგრამის ფოკუსი კი არის ძველი ქართული ხელოვნებისა და ახალი ქართული ხელოვნების ისტორია, ანუ ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში. ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაინახოს, თუ როგორ ვლინდება ხელოვნების სფეროში კვლევის განვითარების საერთო მიზანი თითოეული პროგრამის მიზნებში და როგორ ვლინდება იგი პროგრამის სწავლის შედეგებში სამივე შესწორებულ პროგრამაში, რომლებიც წარმოდგენილია აკრედიტაციისთვის.

რაც შეეხება, საერთაშორისო აქტუალურობის მიზანს და მასთან დაკავშირებულ აქტივობებს, ეს ნათლად ჩანს როგორც ბაკალავრიატის, ასევე დოქტორანტურის პროგრამულ მიზნებში. დოქტორანტურაში ნათქვამია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის კვლევას, ხოლო ბაკალავრიატის კურსდამთავრებული, რომელიც არის თანამედროვე ხელოვნების ისტორიკოსი - ხელოვნებათმცოდნე, ორიენტირებული იქნება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ სახელოვნებო სივრცეზე. თუმცა, საერთაშორისო ან საგარეო ამბიცია არ არის ცალსახად ნახსენები მაგისტრატურის მიზნებსა და პროგრამულ ამოცანებში. მხოლოდ ქართულ ხელოვნებაზე ფოკუსირებით, ექსპერტთა ჯგუფი ხედავს სამაგისტრო პროგრამის გუნდის შესაძლებლობას, განიხილოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გამოწვევის რა ასპექტების ათვისება შეუძლია: სწავლით, სწავლებით, შემოქმედებითი განვითარებითა და კვლევით. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამის ჯგუფმა განიხილოს სამაგისტრო პროგრამის მიზნებში საერთაშორისო აქცენტის გარკვეული ასპექტის დამატება, მაგალითად, საერთაშორისო ასპარეზზე გამოცემით ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია უძველესი დროიდან დღემდე; ამგვარად პროგრამა შესაბამისობაში მოვა კლასტერში დაჯგუფებულ სხვა პროგრამებთან და უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან.

მცდელობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ წვლილი შეიტანონ შრომით ბაზარზე, როგორც დარგის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, არის მესამე საერთო მიზანი, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტს, განავითაროს ხელოვნების ისტორიკოსების და მომავალი თაობის შემოქმედებითი პოტენციალი, სთავაზობს რა მათ დასაქმებისა და სწავლის შესაძლებლობებს საკუთარ გარემოში. გარდა ამისა, იგი ექვემდებარება შრომის ბაზრის კვლევას და ტენდენციების ანალიზს და კონსულტაციას დამსაქმებლებთან, რომლებმაც უთხრეს ექსპერტთა ჯგუფს, რომ დაუყოვნებლივ სჭირდებათ ახალგაზრდა ხელოვნების ისტორიკოსები, რათა თანდათან შეცვალონ დაბერებადი სამუშაო ძალა. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს კულტურისა და ხელოვნების სფეროში და მზად იქნება საქმიანობისთვის მუზეუმებში, გალერეებში, კრეატიულ სტუდიებში, კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და დაცვის ორგანიზაციებში, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში. მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში კვლევითი სამუშაოების შესრულებით, მუზეუმებში და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციებში, ასევე ექსპერტად, ან შეუძლიათ განახორციელონ

ადმინისტრაციული სამუშაო სახელოვნებო მიმართულებით სახელმწიფო და არა - სამთავრობო სექტორში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაგეგმონ აქტივობები, განსაზღვრონ და გადაჭრან ამოცანები. კონტექსტების ტიპები, რომლებშიც ისინი იმუშავენ არის უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, კვლევითი ცენტრები, მუზეუმები, გალერეები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციები, ხელოვნებისა და კულტურის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციები, ტურისტული სააგენტოები, ასევე მედია და კულტურის სხვა დეპარტამენტები. დოქტორი იქნება ექსპერტი თანამედროვე ხელოვნების/კულტურის კომპლექსური ცოდნისა და მეთოდოლოგიური კვლევის გამოცდილებით და იქნება სპეციალისტი, რომლის ნაკლებობაცაა ამჟამად საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამაუწყებლო დაწესებულებებში.

რამდენადაც უნივერსიტეტის მისიის ნაწილია, მოამზადოს კურსდამთავრებულები სამივე დონეზე, რომლებიც არიან სპეციალისტები და პროფესიონალები, ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ კლასტერში სამივე პროგრამა აქცენტს აკეთებს მასწავლებლების მომზადებაზე საშუალო სკოლებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ სპეციალისტები, რადგან ხელოვნება ახლა არის კურიკულუმის სავალდებულო საგანი. ეს გამოჩნდა შრომის ბაზრის ტენდენციის ანალიზში და დამსაქმებლებთან ინტერვიუებშიც. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს დამატებით დასჭირდებათ 60-კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულება და სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რათა ასწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ ასწავლონ მხოლოდ გამოცდის ჩაბარებით, 60 ECTS-ის გარეშე. დოქტორი სწავლის პერიოდში გაივლის პედაგოგიურ მომზადებას და, მისგან მოსალოდნელია, რომ ცოდნას გარდაქმნის დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრისთვის, მათ შორის პროფესიულ წრეებსა და საზოგადოებაში, ასევე ასწავლის ფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ უნივერსიტეტი გეგმავს, მოიპოვოს ნებართვა რომ თავად განახორციელოს 60-კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რასაც ექსპერტები დადებითად აფასებენ.

ექსპერტთა ჯგუფმა თვითშეფასების ანგარიშში წაიკითხა, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული გამოწვევაა კავშირი უნივერსიტეტსა და შრომის ბაზარს შორის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ გამოწვევას აქტიურად აგვარებენ პროგრამის დონეზე, ხელოვნების ისტორიის კლასტერში და რომ უფრო და უფრო იზრდება ურთიერთობა პროგრამასა და დამსაქმებელს შორის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6

საბაკალავრო პროგრამის მიზნები ასეთია:

- „პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური ხელოვნებათმცოდნე/ხელოვნების კრიტიკოსი, რომელსაც ექნება ცოდნა და უნარები როგორც დარგობრივ/პროფესიულ, ასევე ზოგად კომპეტენციებში, მოამზადოს სპეციალისტები ხელოვნების ისტორიის საფუძვლების ფართო ცოდნით. კერძოდ, ასწავლოს სტუდენტებს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების ისტორია (მსოფლიო და ქართული), ასწავლოს ხელოვნების

აღნიშნული დარგების თეორიული საკითხები, პროფესიული ტერმინოლოგია და მისცეს მათ კონკრეტული პრობლემური საკითხის კრიტიკულად განხილვის უნარი; ასევე, დაეხმაროს მათ დარგის რთული საკითხების გააზრებაში, ხელოვნების თეორიისა და ხელოვნების ისტორიის ისტორიოგრაფიის ფუნდამენტური პრინციპების გარკვევაში; დაეხმაროს მათ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და მასზე ზრუნვის აუცილებლობის გაცნობიერებაში;

- პროგრამის მიზანია, გზა გაუკვალოს კურსდამთავრებულს აკადემიურ დონეზე არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების სფეროების - ფერწერის, ქანდაკების, დიზაინის, არქიტექტურული ნამუშევრების - პროფესიულ აღქმაში, შეფასებისა, ანალიზის წარმართვის განხორციელებაში. პროგრამა ორიენტირებულია ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების, პროფესიული შეფასების და დასკვნების გამოტანის საბაზისო უნარების განვითარებაზე, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს შეძლოს ხელოვნების ცალკეულ საკითხზე აზრის საფუძვლიანად გამოხატვა, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად და რომ ამისთვის გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- პროგრამის მიზანია, აღზარდოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, რომელიც ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ სახელოვნებო სივრცეზე, მზად იქნება საქმიანობისთვის მუზეუმებში, გალერეებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში - შემოქმედებითი ხელოვნების სტუდიებში, კულტურულ და საგანმანათლებლო (როგორც ხელოვნების მასწავლებელი საშუალო სკოლა, მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ) დაწესებულებებში, კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელ და დამცავ ორგანიზაციებში, ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად დაგეგმოს და წარმართოს თავისი პროფესიული საქმიანობა შესაბამისი ხელმძღვანელობით, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ საქმიანობაზე და განახორციელოს საქმიანობა პროფესიული და სამეცნიერო ეთიკის პრინციპების დაცვით”.

გარდა ზემოთ მოცემული აღწერილობისა და ანალიზისა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს ზოგად უნარებს და კომპეტენციებს და ცოდნის მასშტაბს, რომელიც საჭიროა მე-6 დონეზე ხელოვნების ისტორიის კურსდამთავრებული სტუდენტების განვითარებისთვის. თეორიული საკითხებისა და პროფესიული ტერმინოლოგიის სწავლება, ისევე როგორც ანალიტიკური და კრიტიკული უნარების განვითარება მნიშვნელოვან საფუძველს უქმნის მომავალ ხელოვნებათმცოდნეს. ექსპერტთა ჯგუფი ხედავს, რომ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ეცოდინება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მოვლასთან დაკავშირებული აუცილებელი პრინციპები. როდესაც ეს ყოველივე უკვე გარდაქმნილია პროგრამის სასწავლო მიზნებად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ისინი რეალისტური და მიღწევადია და რომ მე-6 და მე-7 საფეხურებს შორის სტუდენტის პროგრესირების კუთხით, პროგრამის მიზნები საფეხურისთვის შესაბამისია და ქმნის საფუძველს თანმიმდევრული და დამატებითი საგანმანათლებლო სწავლებისა და კვლევებისთვის. ისინი ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის უნივერსიტეტის ვებსაიტზე.

დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის კუთხით, საბაკალავრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტს, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში; ექსპერტთა ჯგუფმა ამის ყველაზე მეტი მტკიცებულება დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოავლინა. დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს ხელოვნების ისტორიკოსების ახალი თაობის მუზეუმებში ინტეგრირების აუცილებლობას, რათა მათი კოლექციები უფრო ხელმისაწვდომი იყოს მოქალაქეთა მსხვილი ნაწილისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. ასევე, აღინიშნა რომ სკოლებში იმატა მასწავლებელთა როლმა ქართული მემკვიდრეობის საგნის გაცოცხლების კუთხით და ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კურსდამთავრებულებს, რომლებიც უკვე მუშაობენ პედაგოგებად. ამგვარად, ცხადია რომ პროგრესულად ვითარდება საერთო კლასტერული მიზანი, რომ პროგრამების კურსდამთავრებულებმა შეძლონ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ არა მხოლოდ ხელოვნების სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში, არამედ საზოგადოების მხატვრულ და კულტურულ განვითარებაში და მასში ესთეტიკური ღირებულების ჩამოყალიბებაში. სტუდენტები, რომლებსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, ენთუზიაზმით იყვნენ განწყობილნი ქართული მემკვიდრეობის და მისი შენარჩუნების მიმართ, შესაბამისად, აქვთ პოტენციალი წვლილი შეიტანონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებისა და საქართველოს ცხოვრებაში მისი ცენტრალური მნიშვნელობის შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7

სამაგისტრო პროგრამის ამოცანები/მიზანი შემდეგია:

- „სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც ექნება ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ხელოვნების ისტორიაში, აქცენტით ქართულ ხელოვნებაზე, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-შენახვასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, პროფესიულ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიულ მეთოდებზე და ექნება ცოდნის პრაქტიკაში განვითარებისა და გამოყენების უნარი;
- აღზარდოს ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კუთხით პრაქტიკულ საქმიანობას ან ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში, ასევე შეძლებენ მოღვაწეობას კვლევით და, შესაბამისად, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში; ხელი შეუწყოს მაგისტრანტს დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარის განვითარებაში, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ტრადიციული და უახლესი მეთოდების გამოყენებაში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრაქტიკისა და ეთიკის პრინციპების შესწავლაში; საკუთარი აკადემიური დასკვნების ჩამოყალიბებაში, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის წარდგენის უნარის გამომუშავებაში”.

კლასტერის სათაურის ქვეშ აღწერილობისა და ანალიზის გარდა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის მიზნები აღწერს ცოდნის იმ სიღრმეს, რომელიც საჭიროა ხელოვნების ისტორიის კურსდამთავრებულის მე-7 საფეხურზე გასავითარებლად, აქცენტით ქართულ ხელოვნებაზე - კულტურულ მემკვიდრეობაზე და მის შენარჩუნებასა და კონსერვაციაზე. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ტრადიციული და უახლესი მეთოდების გამოყენების ათვისება მნიშვნელოვან საფუძველს აძლევს მომავალ ხელოვნებათმცოდნეს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში და იმუშაოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ მაგისტრატურის კურსდამთავრებული მიიღებს განათლებას ქართული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მოვლაში მე-7 დონის შესაბამის საგანმანათლებლო ფაზაში, რაც უზრუნველყოფს მე-6 საფეხურიდან მე-8 საფეხურზე შეუფერხებელ და თანმიმდევრულ პროგრესს, თუ კურსდამთავრებული დაინტერესებულია სწავლის გაგრძელებით და არა მუშაობით. როდესაც პროგრამის მიზნები გარდაქმნილია პროგრამის სწავლის შედეგებად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ისინი რეალისტური და მიღწევადია და ქმნის საფუძველს თანმიმდევრული და დამატებითი საგანმანათლებლო სწავლებისა და კვლევებისთვის. ისინი ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის უნივერსიტეტის ვებსაიტზე.

დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის კუთხით, სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტს, რომ შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, ისევე როგორც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში; ექსპერტთა ჯგუფმა ამის ყველაზე მეტი მტკიცებულება დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოავლინა. ექსპერტთა ჯგუფმა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებისგან მოისმინა, რომ არსებობს განახლებული ბიძგი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნებისთვის, და რომ მიმდინარეობს ხელოვნების ისტორიკოსების ახალი თაობის მოძიება, რათა მათ მუზეუმის კოლექციები და საჯარო ძეგლები უფრო ხელმისაწვდომი გახადონ ახალგაზრდა ვიზიტორებისთვის; ასევე იმ მიზნით, რომ ახალი თაობის სპეციალისტები გახდნენ საჯარო სკოლის მასწავლებლები. ამრიგად, საშუალო განათლება იძლევა კიდევ ერთ კონტექსტს, რომელშიც მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ხელოვნებისა და მემკვიდრეობის, როგორც საქართველოს ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით. ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებისგან სენტიმენტალური განცხადებებიც მოისმინა, რომ სამაგისტრო პროგრამის გავლამ მათ შესაძლებლობა მისცა, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის კუთხით არსებული გარემო სხვა თვალით დაენახათ; ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სტუდენტებს აქვთ პოტენციალი წვლილი შეიტანონ საქართველოში ხელოვნების მნიშვნელობისა და ღირებულებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში; ეს კი ასახავს კლასტერის მიზნებს.

აღწერა და ანალიზი - სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8

სადოქტორო პროგრამის მიზნები/ამოცანები შემდეგია:

- „პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე, რომელიც ზედმიწევნით ფლობს ხელოვნების ისტორიის სფეროში შეძენილ ცოდნას და კვლევის მეთოდებს; ვინც შეძლებს დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, ღრმად გაიაზროს, კრიტიკულად მიუდგეს არსებულ იდეებს, გააანალიზოს ახალი მასალა, გამოიტანოს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნები და შექმნას ახალი ცოდნა ხელოვნების ისტორიის სფეროში, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ ექნება ადგილი ხელოვნების მეცნიერებებში.
- პროგრამის მიზანია, დოქტორანტს შეუქმნას პირობები ინტელექტუალური ზრდისა და კვლევითი პოტენციალის გააქტიურებისთვის. მისცეს დოქტორანტს ხელოვნების ისტორიული და თანამედროვე მოვლენების, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს, წარსულსა და აწმყოში მისი დამოკიდებულებების (საზოგადოების, სამყაროს და გარემოს მიმართ) გამომხატველი სფეროს აღქმა. ამით ჩვენ ვინარჩუნებთ ცოდნის უწყვეტობას, სიცოცხლისუნარიანობას, ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში;
- პროგრამით დასახული მიზნების რეალიზაციის გზაზე კიდევ ერთი ამოცანაა, მომავალმა დოქტორმა გაიგოს, როგორ ესადაგება სახელოვნებო კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეს. სწავლებისა და კვლევის პროცესი დოქტორანტურის ფარგლებში, მიზნად ისახავს თანამშრომლობის უნარების განვითარებას: დოქტორმა უნდა იცოდეს როგორ ითანამშრომლოს ინტერდისციპლინური კვლევის დროს შესაბამის ჰუმანიტარულ, სოციალურ და სხვა სფეროების სპეციალისტთან. პროგრამის მიზანია ცოდნის სხვებისთვის გადაცემის უნარის, ლექციების წარმართვის უნარის განვითარება;
- პროგრამის კიდევ ერთი მთავარი ამოცანაა, დოქტორანტს განუვითაროს ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. მას უნდა შეეძლოს ცოდნის წარმოჩენა და ტრანსფორმაცია, ისევე როგორც მასალის სწავლება, ყველასთვის გასაგები ფორმით. მან უნდა შეძლოს ცოდნის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირისთვის (პროფესიული წრე, საზოგადოება).
- პროგრამა მიზნად ისახავს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის კვლევას, ისტორიულ და თანამედროვე სახელოვნებო პროცესებს და ამით ხელი შეუწყოს ადამიანებსა და სამყაროს შორის ფუნდამენტური ურთიერთობების წარმოჩინებას.“

აღწერისა და ანალიზის ნაწილში მოწოდებული ინფორმაციის გარდა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს დოქტორანტურის საფეხურამდე გადადგმულ ნაბიჯს და მიიჩნევს რომ ის შეესაბამება მეშვიდე საფეხურიდან მერვეზე გადასვლის პროცესს მაგისტრატურის იმ კურსდამთავრებულებისთვის, რომელთაც სურთ და შეუძლიათ რომ სწავლა დოქტორანტურაში გააგრძელონ. თუმცა, სადოქტორო პროგრამის მიზნებში ხაზგასმული კავშირი ამ დისციპლინასთან და სამყაროსთან მის კავშირებთან მიმართებაში, იძლევა მკაფიო განსხვავებას მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებს შორის. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს საუკეთესოდ გამოხატულია იმით, რომ მომავალ დოქტორს

ესმის, თუ როგორ ესადაგება მხატვრული კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეს და როგორ უწყობს ხელს ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და თანამედროვე მხატვრული პროცესების კვლევა ადამიანებისა და სამყაროს, ანუ სოციალური სამყაროს ფუნდამენტური ურთიერთობების წარმოჩინებას. პროგრამის ეს მიზნები დაფუძნებულია მაგისტრატურაში შეძენილი ცოდნის, უნარებისა და მეთოდების სპეციფიკაზე და შემდგომ დახვეწილია დოქტორანტურაში ახალი ცოდნის გამომუშავების მიზნით, რათა ხელოვნების ისტორიის დოქტორმა შეიძინოს პროფესიული გამოცდილება და გავლენა მოახდინოს სამეცნიერო სფეროში, ასევე შეძლოს სფეროს მიღმა ადვოკატირება კულტურული პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სადოქტორო პროგრამის მიზნების დამატებითი გამორჩეული მახასიათებელია ის, რომ დოქტორანტმა უნდა მოიპოვოს ინტერდისციპლინური უნარები, რათა შეძლოს სამეცნიერო კვლევების ჩატარება და თანამშრომლობა ჰუმანიტარული მეცნიერებების მომიჯნავე დარგებთან. სადოქტორო სწავლის შედეგებთან შედარებისას ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ პროგრამის მიზნების ზოგიერთი ელემენტი არ არის ხაზგასმული. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სადოქტორო პროგრამის მიზნები სრულად არ ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მიზანშეწონილია, რომ ეს გამოსწორდეს პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციაზე აქცენტის ხაზგასმით.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები
- უნივერსიტეტის ხედვა და მისია ვებგვერდიდან
- უნივერსიტეტის სტრატეგია - ვებგვერდი
- ხელოვნებათმცოდნეობის დარგის შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში
- გასაუბრება რექტორთან, დეკანთან, ფაკულტეტის ფინანსურ განყოფილებასთან და ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

1.1.1.სასურველია, პროგრამის გუნდი დაფიქრდეს სამაგისტრო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული მიზნის დამატებაზე.

პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8

რეკომენდაციები:

1.1.2. რეკომენდებულია, პროგრამის ჯგუფმა დოქტორანტურისთვის დაამატოს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პროგრამის მიზანი.

რჩევები:

შეფასება⁶

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁶შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა თვითშეფასების ჯგუფს და თვითშეფასების ანგარიშიდან და გასაუბრებებიდან შეძლო დაედგინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი იყო ერთობლივი პროცესი, რომელიც ჩატარდა პროგრამების ხელმძღვანელების ხელმძღვანელობით და მასში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეების უმეტესი ჯგუფის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი – ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი; აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი; სტუდენტები; კურსდამთავრებულები; და დამსაქმებლები. შესამჩნევი იყო რომ ჯგუფს აკლდა ბაკალავრიატის სტუდენტი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გაარკვია, რომ ბაკალავრიატის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ გამოკითხვაში, რამაც ხელი შეუწყო საბაკალავრო პროგრამის შედგენას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის ჩართვა იქნებოდა გონივრული, რათა პროცესი ყოფილიყო სრულად ინკლუზიური და წარმომადგენლობითი.

ექსპერტთა ჯგუფი ხედავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დაიწერა საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მითითებით. ამ კლასტერისთვის მნიშვნელოვანი და რელევანტური მოვლენაა, 2022 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებს შორის მიმდინარე ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებას; ამ პროცესს ხელმძღვანელობს TAFU-ს ხელოვნების ისტორიის პერსონალი. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამიზნე ნიშნულები ჯერ კიდევ საპროექტო ფორმაშია, ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ ისინი გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების დაწერისას ყველა საფეხურზე, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით განაპირობებენ კლასტერის

პროგრამის მიზნებს. ექსპერტთა ჯგუფი ამას კარგ პრაქტიკად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა წვდომა სამიზნე ნიშნულების სამუშაო ვერსიასთან.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ კლასტერში დაჯგუფებული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აკადემიური დონის სამივე პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდრო კავშირშია პროგრამებში მითითებულ მიზნებთან. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს როგორც სიღრმისეული ცოდნის გადაცემას შესაბამის მიმართულებებში, ასევე მისი პრაქტიკაში განხორციელების ასპექტებს, ანალიტიკური, საკომუნიკაციო და ინტერპერსონალური უნარების კომპონენტების განვითარებას კვალიფიკაციის შესაბამის დონეზე, რაც მიღწევადი და გაზომვადია. თუმცა, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პასუხისმგებლობისა და ავტონომიის მითითება მოკლებული იყო პროგრამის სწავლის შედეგებში და მიზანშეწონილია, რომ ესეც დაემატოს.

ზოგადად, სწავლის შედეგები იძლევა როგორც განათლების შემდეგ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების, ასევე დასაქმების შესაძლებლობას შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები წარმოდგენილია ისეთი თანმიმდევრობით, რომ თვალსაჩინოა პროგრამების სწავლის შედეგების კვლევის კომპონენტის მზარდი სირთულე, კომპლექსურობა და დინამიკა. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და ასევე გაირკვა, რომ სტუდენტები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

ეს განცხადება იძლევა ზოგად მიმოხილვას კლასტერულ დონეზე, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა პროგრამულ დონეზე, რათა დაადასტუროს, არის თუ არა ზემოთ აღნიშნული განაცხადი რეალური ფაქტი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6

პროგრამის სწავლის შედეგები: ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. „აღწერს მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის ძირითად ეტაპებს - პრეისტორიული ხანიდან თანამედროვეობამდე; განსაზღვრავს ხელოვნების ისტორიაში ცნობილ ძირითად სტილებსა და მოძრაობებს; აღწერს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების სფეროს მახასიათებლებს, განვითარების ეტაპებს, მხატვრულ თავისებურებებს; იცის ნამუშევრის მხატვრული ფორმის შემადგენელი კომპონენტები (მხატვრული ტექნიკა) და მათი ფუნქციები;
2. ამოიცნობს, ახდენს კლასიფიკაციას და ისტორიულად განმარტავს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებებს; მხატვრული ნაწარმოების შესწავლისა და შეფასების მიზნით, შესაბამისი ტერმინოლოგიით აღწერს და აანალიზებს სხვადასხვა ეპოქის ევროპულ და ქართულ არქიტექტურას, ფერწერასა და ქანდაკებას; მას აქვს უნარი განასხვავოს მხატვრული ტექნიკა, მათი სტილისტური

და შინაარსობრივი დახასიათება; ახასიათებს ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებულ ქრისტიანული იკონოგრაფიის თემებს, ამოიკნობს მითოლოგიურ ამბებს და არგუმენტირებულად აყალიბებს მათ მხატვრულ თავისებურებებს; მსჯელობს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების ნიმუშზე, როგორც მხატვრული ფორმის (სტილისტური) ანალიზის კრიტერიუმებით, ასევე ისტორიული კონტექსტუალიზაციის ასპექტებით;

3. იცის უშუალოდ ძეგლზე მუშაობის საფუძვლები და იყენებს მას პრაქტიკაში: აგროვებს სხვადასხვა მონაცემს მხატვრული ნაწარმოების შესახებ; აღწერს და აფასებს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების მიმდინარე პროცესებს; ფლობს ხატვისა და ფერწერის პრაქტიკულ საფუძვლებს;
4. ახასიათებს მხატვრული ნაწარმოებების თემატურ მრავალფეროვნებას, იცნობს ხელოვნების კვლევისა და მეცნიერული დაკვირვების, შესწავლისა და არგუმენტაციის ძირითად მეთოდებს, ხელოვნების თეორიისა და ხელოვნების ისტორიოგრაფიის ფუნდამენტურ პრინციპებს; აყალიბებს მოსაზრებებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და მისი მოვლისა და შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ;
5. იცის ხელოვნების კულტურული, ფილოსოფიური, სოციალური კონტექსტი; აცნობიერებს ხელოვნების ისტორიის პრაქტიკული სფეროების მნიშვნელობას (მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, ტურიზმი და ა.შ.); იცნობს დარგის მომიჯნავე სფეროებს (თეატრი, კინო, ლიტერატურის ისტორია და სხვა ჰუმანიტარული და სოციალური სფეროები); შეუძლია დარგისა და მომიჯნავე დარგების კონკრეტულ და ზოგად საკითხებზე კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ (ინგლისურ) ენაზე; შეუძლია სხვებისთვის ცოდნის გადაცემა ხელოვნების ისტორიის ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე;
6. აკადემიური სტანდარტების შესაბამისად წერს კვლევით ნაშრომს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების თემაზე და სათანადოდ წარმოადგენს მას; სტრუქტურირებულად, თანმიმდევრულად, დასაბუთებულად წარმოადგენს თემას როგორც წერილობით, ისე ზეპირად, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
7. დამოუკიდებლად გეგმავს პროფესიულ საქმიანობას და ახორციელებს მათ შესაბამისი ხელმძღვანელობის პირობებში, საკუთარ საქმიანობაში ეთიკის პრინციპების დაცვით; განსაზღვრავს კულტურის/ხელოვნების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში”.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა „ბაკალავრიატის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცხრილი“, რათა დაედასტურებინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა თუ სად ისწავლება საბაკალავრო კურიკულუმში ეს სწავლის შედეგები და ამის გასაგებად ჩახედა „ბაკალავრიატის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების რუკას“, სადაც ისინი განსაზღვრულია როგორც - გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. ექსპერტთა ჯგუფის აზრით ეს პროგრამის გუნდისთვის ეფექტური მეთოდია საიმისოდ, რომ დარწმუნდეს თუ როგორ შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს და რამდენად მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას, რაც კურიკულუმის შინაარსითაა გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა საბაკალავრო სწავლის შედეგები მაგისტრატურის სწავლის შედეგებთან მიმართებაში და დაინახა, რომ ისინი თანმიმდევრულად განვითარებულია სირთულის თვალსაზრისით. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგად მოთხოვნილია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საფუძვლების ზოგადი და ფართო ცოდნა, ხოლო ამის ეკვივალენტური სწავლის შედეგი სამაგისტრო დონეზე უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს. ბაკალავრიატის სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს თავისი პროფესიული საქმიანობა და განახორციელოს ის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტისგან მოელიან რომ დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. სწავლის შედეგის ორი ნაკრების შედარებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის განსაზღვრული შედეგები საბაკალავრო პროგრამაში თანმიმდევრულია და შესაბამისია ბაკალავრის კვალიფიკაციასთან და შემუშავებულია შესაბამისი საფეხურის გათვალისწინებით (1 საფეხური ბაკალავრიატისთვის). პროგრამის სწავლის შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს (შესაბამის პროგრამებზე მისაღები წინაპირობების გათვალისწინებით) შეუძლია სწავლის გაგრძელება მე-7 საფეხურზე, იმავე სფეროში; ასევე დადგინა, რომ სწავლის შედეგები თანმიმდევრულია კულტურული მემკვიდრეობის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; ეს საკითხი განვიხილეთ დამსაქმებლებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტაჟირების შესაძლებლობებს ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რჩევას, რომ სწავლის პრაქტიკული შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო სფეროსთან, როგორცაა მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, ტურიზმი და ა.შ., ასევე კომუნიკაციური უნარები, უფრო მეტად იყოს აქცენტირებული სამუშაო სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგ 5-ში, რაც უფრო მჭიდროდ ასახავს პროგრამის მიზნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7

პროგრამის სწავლის შედეგები: ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. „ფლობს ხელოვნების ისტორიის ღრმა, ყოვლისმომცველ ცოდნას, ქართული ხელოვნების ისტორიის ცოდნის გაღრმავებით, მისი კრიტიკული გაგებით, სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან დაკავშირებით; იცის ხელოვნების თეორიის ფუნდამენტური პრინციპები, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები, კვლევის მეთოდები, მიდგომები და თანამედროვე ასპექტები; აქვს განსაკუთრებულად ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა ხელოვნების ისტორიის არჩეულ სფეროში (არჩეული მოდული);
2. ადგენს კვლევის საკითხებს ხელოვნების, ეპოქისა და რეგიონის ფარგლებში, აყალიბებს თემასთან დაკავშირებულ კითხვებს, პოულობს შესაბამის მასალას, აყალიბებს ჰიპოთეზებს, ადგენს კვლევის მიზნებს და ატარებს კვლევას ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალზე/ორიგინალზე მუშაობით, შესაბამისი სპეციალიზებული ლიტერატურის კრიტიკული შესწავლით და ისტორიულ-ლიტერატურულ და საარქივო წყაროებზე დაყრდნობით; წერს კვლევის აბსტრაქტს,

საკონფერენციო მოხსენებას, სტატიას აკადემიური სტილისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; დამოუკიდებლად ატარებს კვლევას ხელოვნების ისტორიის კონკრეტული პრობლემის/საკითხის ირგვლივ; ირჩევს და დამოუკიდებლად იყენებს საკვლევო თემის შესაბამის მეთოდს/ მეთოდებს; საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინტერდისციპლინურ მიდგომას, რამდენადაც კარგად ფლობს მომიჯნავე სფეროებს (პალეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ფილოსოფია, მუსიკა, თეატრი, კინო და ა.შ.) და შეუძლია სათანადოდ გამოიყენოს შესაბამისი დარგის მონაცემები;

3. შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს სწავლის პროცესი, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, გაიღრმავოს ცოდნა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში და მომიჯნავე დარგებში; აქვს ზოგადი ცოდნა საქმის ორგანიზებისა და მართვის პრინციპების შესახებ; ასევე, აქვს ცოდნა პედაგოგიკაში, სწავლების მეთოდებში და შეუძლია ცოდნის სხვებისთვის გადაცემა;
4. განსაზღვრავს ისეთი ორგანიზაციების მახასიათებლებს, როგორცაა მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-შენახვა, გალერეები და სხვა; განსაზღვრავს მათთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხს/პრობლემას, ადგენს ამ პრობლემის გადაჭრის გზებს, აყალიბებს სამუზეუმო სფეროს ასპექტებს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნების პოლიტიკის ასპექტებს.
5. დამოუკიდებლად გეგმავს პროფესიულ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიაზე დაფუძნებულ საქმიანობას და მუშაობს პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით და მონაწილეობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა „სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცხრილი“, რათა დაედასტურებინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა თუ სად ისწავლება სამაგისტრო კურიკულუმში ეს სწავლის შედეგები და ამის გასაგებად ჩახედა „კურიკულუმის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების რუკას“, სადაც ისინი განსაზღვრულია როგორც გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება და ასევე გადახედა „სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკას“. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს ცხრილები პროგრამის გუნდისთვის ეფექტური მეთოდია საიმისოდ, რომ დარწმუნდეს თუ როგორ შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს და რამდენად მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას, რაც კურიკულუმის შინაარსითაა გათვალისწინებული და სტუდენტის სწავლის პროცესში პროგრესულად ვითარდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მაგისტრატურის სწავლის შედეგები ბაკალავრიატის სწავლის შედეგებთან შედარებით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ „ანალიზი“ არ იყო შეტანილი მაგისტრატურის სწავლის შედეგებში და რეკომენდაციას უწევს მის დამატებას. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მაგისტრატურის სწავლების შედეგები დოქტორანტურის სწავლის შედეგებთან მიმართებაში და დაინახა, რომ ისინი თანმიმდევრულად განვითარებულია სირთულის თვალსაზრისით. მაგალითად, მაგისტრატურის სტუდენტი დაამთავრებს პროგრამას განსაკუთრებულად ღრმა და

საფუძვლიანი ცოდნით ხელოვნების ისტორიის არჩეულ პერიოდში, ხოლო დოქტორანტურის დონეზე საჭიროა ახალი ცოდნის შექმნა. სწავლის შედეგის ორი ნაკრების შედარებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის განსაზღვრული შედეგები სამაგისტრო პროგრამაში თანმიმდევრულია და შესაბამისია მაგისტრის კვალიფიკაციასთან და შემუშავებულია შესაბამისი საფეხურის გათვალისწინებით (მე-2 საფეხური მაგისტრატურა). სამაგისტრო პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი ზედმეტად გრძელია და სასურველია დაიყოს ორ კონკრეტულ სწავლის შედეგად და შეჯამდეს. პროგრამა განისაზღვრება საგანმანათლებლო და კვლევითი კატეგორიის კომპონენტების 120 კრედიტის ოდენობით. აქედან 40 კრედიტი კვლევითი უნარების განვითარებისთვის, 10 კრედიტი პრაქტიკული უნარებისთვის, 70 კი აკადემიური დისციპლინებისთვის არის განკუთვნილი. პროგრამის სწავლის შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს სწავლა მე-8 საფეხურზე, იმავე სფეროში (მიღების წინაპირობების გათვალისწინებით). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის სამუშაო სფეროს მოთხოვნებს და რომ ისინი დაწერილია შრომის ბაზრისა და ტენდენციების ანალიზის გათვალისწინებით, რაც განიხილეს დამსაქმებლებთან. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი ყურადღებას ამახვილებს ისეთი კურსდამთავრებული მაგისტრების გამოშვებაზე, რომლებიც აკმაყოფილებენ კულტურის სექტორის საუმაოს სფეროს მოთხოვნებს, ასევე მაგისტრატურაში პრაქტიკული უნარებისა და მუზეუმის მართვის მოდულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიზანშეწონილია, რომ მე-4 სწავლის შედეგში დაემატოს სამუშაო ადგილისთვის მომზადება.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური.

აღწერა და ანალიზი - სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:

1. „სისტემატურად და კრიტიკულად გაიაზრებს ხელოვნების ისტორიას და წარმოაჩენს ქართულ ხელოვნებას, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს;
2. განსაზღვრავს მხატვრული კვლევის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს; ატარებს მხატვრული ნაწარმოების/ნამუშევრების კომბინაციის კომპლექსურ კვლევას მომიჯნავე სფეროებთან ურთიერთობის დამყარებით; გეგმავს კვლევას და ატარებს მას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; ავითარებს კვლევით ან ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე (საერთაშორისო რეცენზირებადი პუბლიკაციისთვის საჭირო სტანდარტის დონეზე).
3. განსაზღვრავს ხელოვნების ისტორიის აქტუალურ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს; გეგმავს და წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ მოვლენებს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ატარებს სალექციო კურსებს მაღალ სამეცნიერო და მეთოდურ დონეზე”.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები მაგისტრატურის სწავლის შედეგებთან მიმართებაში და დაადასტურა, რომ ისინი თანდათან ვითარდება სირთულისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით, და რომ დოქტორანტურის სწავლის შედეგები მთლიანად შეესაბამება მესამე საფეხურისთვის საჭირო სამეცნიერო კვლევას, ახალი ცოდნის გამომუშავებით, საერთაშორისო რეცენზირებული პუბლიკაციის დონისა და სტანდარტების შესაბამისად. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და ნაშრომების ზოგიერთი ასლის მიმოხილვა, ასახავს პროგრამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კომპონენტების სწავლის სამ შედეგთან შესაბამისობას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიუთითებს მომიჯნავე სფეროებთან ურთიერთობის დამყარებას და რეკომენდაციას უწევს, რომ „ინტერდისციპლინური“ კვლევის მკაფიოდ ჩამატება ასახავს პროგრამის შემდეგ მიზანს: „დოქტორის ხარისხის მქონე პირმა უნდა იცოდეს, როგორ ითანამშრომლოს ინტერდისციპლინური კვლევის დროს შესაბამის ჰუმანიტარულ, სოციალურ და სხვა სფეროების სპეციალისტთან“. ექსპერტთა ჯგუფი ასევე რეკომენდაციას უწევს პროგრამის გუნდს, სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში გააძლიეროს მითითება საერთაშორისო კონტექსტზე, რადგან ამჟამად საუბარია მხოლოდ „ქართული ხელოვნების, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად წარმოჩენაზე“.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დოქტორანტურის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, მაგრამ მხოლოდ მოკლედ არის ასახული და გირჩევთ, რომ ისინი უფრო დეტალურად გაიწეროს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცხრილი
- საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების ცხრილი
- სამაგისტრო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ცხრილი
- კურიკულუმის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების რუკა
- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- ხელოვნებათმცოდნეობის დარგის შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუები ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

1.2.1. სასურველია, საბაკალავრო პროგრამაში დაემატოს სწავლის შედეგი, რომელიც კონკრეტულად სამუშაო სფეროს უკავშირდება

პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7

რეკომენდაციები:

1.2.2 რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატოს - „ანალიზი“.

რჩევები:

1.2.3 სამაგისტრო პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი ზედმეტად გრძელია და სასურველია დაიყოს ორ კონკრეტულ სწავლის შედეგად და შეჯამდეს.

1.2.4. სასურველია სამაგისტრო პროგრამის მე-4 სწავლის შედეგს დაემატოს სამუშაო ადგილისთვის მომზადება.

პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8

რეკომენდაციები:

1.2.5 რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ხელახლა, უფრო დეტალურად დაიწეროს, რათა ამით სადოქტორო პროგრამის ჯგუფმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგები, და ასევე მკაფიოდ მიუთითოს ინტერდისციპლინური კვლევა.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➤ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, არსებობს „პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისი შეფასების მეთოდების შემუშავების“ საუნივერსიტეტო წესი. ეს დოკუმენტი აღწერს სწავლის შედეგებზე მუშაობის პრინციპებს და რამდენიმე პრაქტიკული ინსტრუმენტის უზრუნველყოფით ასახავს შეფასების სტრატეგიებს. იგი მომზადებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. გარდა ამისა, რეგულაცია „სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ“ ასევე ეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღწერილი, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებს, როგორცაა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის კითხვარებზე პასუხები, ასევე სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა ეს გადაამოწმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან გასაუბრებისას და დაადგინა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არც ისე ჩართულია სწავლის შედეგების შეფასებასთან

დაკავშირებულ პროცესებში, მათ თითქმის არ ახსოვთ გამოკითხვის შევსების შემთხვევები. ზოგიერთმა დამსაქმებელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ზოგადი დისკუსია პროგრამის შინაარსზე და არც ისე დიდი წვლილი მიუძღვით სწავლის შედეგების შეფასებაში. რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, კლასტერში მოცემული პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

როგორც ადგილზე ვიზიტზე განაცხადეს, ამ სფეროში არ არსებობს დარგობრივი მახასიათებლები, შესაბამისად თვითშეფასების ჯგუფმა აკადემიურ პერსონალთან ერთად გადაწყვიტა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და დანერგა სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულება ყოველწლიურად ანალიზებს სტუდენტის აკადემიურ მიღწევებს და ადარებს მას წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს, ამ ანალიზის საფუძველზე ინტერვენციები ინიცირებულია ძირითადად ან პროგრამების ხელმძღვანელის ან ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის მიერ. თუმცა სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების დეტალური ანალიზი ჯერ არ არის მომზადებული ამ კლასტერში მოცემულ არც ერთი პროგრამისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა გაარკვია, რომ რამდენადაც ეს რეგულაცია ახალი მიღებულია, დაწესებულება ელოდება მოცემული პროგრამების პირველ კურსდამთავრებულებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს სიღრმისეული ანალიზების მომზადებას.

სამივე პროგრამისთვის დაწესებულებამ მოამზადა „სწავლის შედეგების რუკა“, რომელშიც ასახულია ურთიერთკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და კურსების სწავლის შედეგებს შორის თითოეული კურსის დონეზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაუსვა რამდენიმე კითხვა როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს, რათა გაერკვია, ჩართული იყვნენ თუ არა ისინი პროგრამის სწავლის შედეგებზე მუშაობაში. როგორც ითქვა, პერსონალი იცნობს პროგრამების სწავლის შედეგებს, უფრო მეტიც, მათგან რამდენიმემ ახსენა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის მიერ სწავლის შედეგების შედგენაზე ჩატარებულ ტრენინგზე დასწრებაც. თუმცა, მხოლოდ ერთმა თანამშრომელმა გაიხსენა შემთხვევა, რომ აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის დონეზე და მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ ჰქონდა ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის შეფასების შესახებ. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში და რომ შეფასება თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაწესებულებაში არსებული პროცედურები და მექანიზმები მიზნად ისახავს პროგრამების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამების ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იგეგმება მოცემულ პროგრამებში

შემდგომი ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კურსის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების შედარება ამ დრომდე არ ჩატარებულა, არსებული წესები და მექანიზმები გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს. უფრო მეტიც, თითოეულ პროგრამაში რამდენიმე ცვლილება უკვე განხორციელდა გამოკითხვის საფუძველზე, რომელსაც სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები ავსებენ. ეს მოწმობს, რომ დაწესებულება აფასებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობას პროგრამების შემუშავებაში.

საკუროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- „პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისი შეფასების მეთოდების შემუშავების“ საუნივერსიტეტო წესი.
- სასწავლო პროცესის შეფასების და მონიტორინგის წესი
- აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიში და შეგროვებული მონაცემები
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები და შეგროვებული მონაცემები
- გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, სასწავლო პერსონალთან და ადმინისტრაციასთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1.3.1 რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, კლასტერში მოცემული პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

1.3.2 რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში და რომ შეფასება თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ECTS-ით დადგენილი წესით - კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესებისა და პროცედურების დაცვით, რისთვისაც პროგრამა მოიცავს შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და ეტაპებს. პროგრამებმა გაიარა განვითარების შემდეგი ეტაპები: პროგრამის სამუშაო ჯგუფის (პროგრამების ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი) ფორმირება; სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის სრული პაკეტის შემუშავება; შეფასების განსხვავებული პროცედურები პროგრამის სამუშაო ჯგუფის გამომხაურების შედეგად მიღებული კომენტარებისა და რეკომენდაციების, ასევე

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით; სწავლის შედეგები, კონსულტაცია და უკუკავშირი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მათი შეფასების მექანიზმის განსაზღვრასთან დაკავშირებით; ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის საბოლოო ვარიანტის განხილვა; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროგრამის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის განხილვა პროგრამის შიდა და გარე სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ და პროგრამის დამტკიცება. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია, რომ პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის აგებისას გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ასპექტი, როგორცაა დაინტერესებული მხარეების სამიზნე ჯგუფების მოსაზრებები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.). არსებულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სხვადასხვა საფეხურის პროგრამების შინაარსი შეესაბამება ბაკალავრიატის, სამაგისტრო და დოქტორანტურის განათლების დონეს და ითვალისწინებს შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობებს. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა, კანონმდებლობისა და დარგის სპეციფიკის შესაბამისად, ჩვეულებრივ შეადგენს რვა, ოთხ და ექვს სემესტრს და მოიცავს შესაბამისად 240, 140 და 60 კრედიტს. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია, თუმცა შინაარსობრივ მხარეზე შესამჩნევია ხელოვნების უახლესი ტენდენციების ნაკლებობა და ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ განიხილოთ მიმდინარე (21-ე საუკუნის) ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებასთან დაკავშირებული თემები. პროგრამებში წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევითი კურსები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, ერთობლივად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების წარმატებულ მიღწევას. პროგრამაში შემავალი ყველა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ლოგიკურად არის აგებული და ვითარდება შინაარსობრივად; საგნების წინაპირობები ძირითადად ადეკვატურია და საჭიროებიდან გამომდინარეობს. პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი).

აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების კურსები, რომლებიც ტარდება როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო პროგრამებში, სრულიად იდენტურია, აქვთ იგივე მიზანი, სასწავლო მიზნები, აქტივობები და შინაარსი. გარდა ამისა, კურსი ორიენტირებულია კვლევითი ნაშრომის მომზადებაზე, მაგრამ გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა მეტწილად მოიცავს უფრო საბაკალავრო პროგრამისთვის შესაფერის თემებს (აკადემიური ნაშრომის სტრუქტურისა და კომპონენტების საფუძვლები; ინფორმაციის მოძიება და ა.შ.). მეორეს მხრივ, იგივე კურსი ბაკალავრიატის დონეზე მოიცავს ძირითადად ქართულ ენასა და გრამატიკასთან დაკავშირებულ თემებს (და არა აკადემიურ ნაშრომზე მუშაობას). ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დაწესებულებამ კრიტიკულად განიხილოს აკადემიური წერის კურსები სამივე საფეხურზე, შეიმუშავოს უფრო ზოგადი კურსები საბაკალავრო პროგრამისთვის, ხოლო უფრო რთული კურსი მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე, რაც შეიძლება ორიენტირებული იყოს სამეცნიერო ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაზე. ეს ხელს შეუწყობს

სტუდენტებს გააუმჯობესონ წერის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6

საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის საფეხურს. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტს. მიღების პროცედურა განისაზღვრება ერთიანი ეროვნული გამოცდებით (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მესამე სავალდებულო საგანი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორია/ისტორია). პროგრამაში ძირითადი სასწავლო დარგის 120 კრედიტი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: პროგრამის სავალდებულო, ძირითადი მოდულები და კურსები მოიცავს 1) მოდულს: ხელოვნების თეორია და ანალიზი – 25 ECTS 2) მოდული: მსოფლიო ხელოვნების ისტორია – 30 ECTS 3) მოდული: მსოფლიო ხელოვნების ისტორია – 30 ECTS 3) მოდული: საქართველოს ხელოვნების ისტორია – 27 ECTS 4) პროგრამის სავალდებულო, ძირითადი და პრაქტიკულ-თეორიული კურსები – 30 ECTS 5) სავალდებულო კვლევითი ელემენტებით: საბაკალავრო ნაშრომი – 15 ECTS და სავალდებულო პროგრამა, ზოგადი არჩევითი კურსი 34 ECTS; სავალდებულო პროგრამა, ზოგადი კურსები: 23 ECTS; ინგლისური ენა – 26 ECTS და პროგრამის არჩევითი კურსი: 30 ECTS კრედიტი.

პროგრამის საგანმანათლებლო კურსები ლოგიკურად და შინაარსობრივად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რისი მიღწევაც შესაძლებელია შესაბამისი წინაპირობებით. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას ხაზი გაესვა მათ ჩართულობას საკუთარ კურსებში. საბაკალავრო პროგრამა, კურსების კატალოგი და საგნების სემესტრული განრიგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7

პროგრამით განისაზღვრება 120 ECTS საგანმანათლებლო და კვლევითი კატეგორიის კომპონენტების განხორციელება, მათ შორის 40 ECTS კვლევის უნარების დაუფლებისა და განვითარებისთვის, 10 ECTS პრაქტიკული უნარების შესაძენად და 70 ECTS აკადემიური დისციპლინებისთვის არის გამოყოფილი. პროგრამის შინაარსი აისახება ორ ძირითად მოდულში: ძველი ქართული ხელოვნებისა და მე-20 საუკუნის ხელოვნების შედარებითი ისტორია. სავალდებულო ძირითადი კურსები მოიცავს ხელოვნების თეორიისა და კრიტიკის

კურსებს, კვლევის მეთოდებს, კონსერვაციას და მართვას, მუზეუმის მართვას. პროგრამა შეესაბამება მისიაში ჩამოყალიბებულ მიზნებს, რომლის მთავარი ვექტორია ხელოვნების სფეროების განვითარება და კვლევა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მე-20 საუკუნის ხელოვნებად განსაზღვრული პროგრამის მოდული ხელიდან უშვებს სტუდენტების შესაძლებლობას, ჩაერთონ ხელოვნებაში ამჟამად მიმდინარე პროცესებში და ხელოვნების ტენდენციების უწყვეტობაში, რადგან ეს მოდული მთავრდება 1999 წლით. ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, რომ სწავლის პერიოდი გახაგრძლივდეს თანამედროვეობამდე (იხ. 1.4.3.)

აღწერა და ანალიზი - სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8

სამაგისტრო პროგრამის მსგავსად, სადოქტორო პროგრამის შინაარსი აისახება ორ ძირითად მოდულში: ძველი ქართული ხელოვნებისა და მე-20 საუკუნის ხელოვნების შედარებითი ისტორია. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მე-20 საუკუნის ხელოვნებად განსაზღვრული პროგრამის მოდული ხელიდან უშვებს სტუდენტების შესაძლებლობას, ჩაერთონ ხელოვნებაში ამჟამად მიმდინარე პროცესებში და ხელოვნების ტენდენციების უწყვეტობაში, რადგან ეს მოდული მთავრდება 1999 წლით. ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, რომ სწავლის პერიოდი გახაგრძლივდეს თანამედროვეობამდე (იხ. 1.4.3.)

აკადემიური დამოწმების სტილთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ მიჰყვეთ საერთაშორისოდ აღიარებული სტილის სახელმძღვანელოს - ზოგიერთ სადოქტორო დისერტაციაში ბიბლიოგრაფიული სტილი არ აკმაყოფილებდა აკადემიურ სტანდარტებს. ეს დაეხმარებოდა სტუდენტებს ამ სტანდარტების მოთხოვნების გაგებაში, რათა მოემზადონ თავიანთი ნაშრომების საერთაშორისო აკადემიურ პუბლიკაციებში გამოსაქვეყნებლად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამების ხელმძღვანელთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
- სწავლის შედეგების რუკები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

1.4.1. სასურველია, კლასტერში მოცემული პროგრამებისთვის აკადემიური წერის არსებული კურსების განახლება/მოდულიზაცია, სტუდენტების წერთი უნარების გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით, მათი სასწავლო დონის შესაბამისად.

1.4.2 მიზანშეწონილია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის სტუდენტებმა დაიცვან ერთ-ერთი საერთაშორისოდ აღიარებული სტილის სახელმძღვანელო, რადგან ეს დაეხმარება სტუდენტებს გაიგონ ამ სტანდარტების მოთხოვნები, რაც გამოადგებათ მომავალში საერთაშორისო აკადემიურ პუბლიკაციებში ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

1.4.3 მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს კლასტერში 21-ე საუკუნის ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებასთან დაკავშირებული თემების ჩართვა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კომპეტენციების რუკების, სილაბუსების, ადგილზე ვიზიტებისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ კურსის სტრუქტურა, წინაპირობები, სწავლების მეთოდები და რესურსები ეხმარება სტუდენტებს პროგრამის სპეციფიკური სწავლის შედეგების, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად შეესაბამება პროგრამების სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები განსაზღვრავს კრედიტების განაწილებას და არსებობს ადეკვატური ბალანსი საკონტაქტო და დამოუკიდებელ სწავლის საათებს შორის. სტუდენტთა შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც სწორად არის განსაზღვრული სილაბუსებში, იძლევა პროგრესის მუდმივი მონიტორინგის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას,

ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ გარკვეული განახლება გაამდიდრებს საგანმანათლებლო რესურსებს - ასახავს მიმდინარე (21-ე საუკუნის), უახლეს მიღწევებსა და ტენდენციებს დარგში, რომელთა რაოდენობა და ხარისხი სრულ შესაბამისობაში მოვა სწავლების დონესთან. სასწავლო კურსების ეფექტურობა მოწმდება სტუდენტების სემესტრული გამოკითხვით, რომელიც ეხება შინაარსს, მოცულობას, რესურსებს, სტუდენტების დატვირთვას და შეფასების სისტემას. კომპონენტის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროცესის სხვა მონაწილეებისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (მოდული ხელოვნების თეორია და ანალიზი -25 ECTS; მოდული მსოფლიო ხელოვნების ისტორია - 30 ECTS; მოდული ქართული ხელოვნების ისტორია - 27 ECTS; პროგრამის სავალდებულო, საბაზისო კურსები, პრაქტიკულ-თეორიული კურსები - 30 ECTS; პროგრამის სავალდებულო, ზოგადი კურსები 34 ECTS.; პროგრამის სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსები 23 ECTS; ინგლისური – 26 ECTS; პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსი ხატვისა და ფერწერის საფუძვლები 5 ECTS; პროგრამის არჩევითი კურსები 30 ECTS) და სწავლის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი. პროგრამის აღწერილობაში ნათქვამია, რომ იგი ამზადებს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების ისტორიის სპეციალისტს, რომელსაც აქვს ცოდნა ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, ფლობს დარგის ანალიტიკოსისა და თეორეტიკოს-კრიტიკოსის უნარებს და იცის პროფესიის განმსაზღვრელი საფუძვლები. იგი ასევე ითვალისწინებს ხელოვნებათმცოდნეობის სწავლებას. გარდა ამისა, პროგრამა ორიენტირებულია პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდაზე, რომლებიც იმუშავენ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ მხატვრული სივრცის ანალიტიკაში და ხელოვნების ისტორიის კვლევებში. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ შეძლებენ იმუშაონ როგორც კულტურისა და ხელოვნების სფეროში, ასევე საგანმანათლებლო სფეროში მასწავლებლად, საშუალო სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად (60 ECTS მასწავლებელთა მომზადების პროგრამის და/ან სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ). პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ გათვალისწინებული იყო მოთხოვნები/საჭიროება პროგრამაში არჩევითი კურსების მრავალფეროვნების გაზრდის თვალსაზრისით. პროგრამის ძირითადი სასწავლო სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ასახულია პროგრამის კომპეტენციების რუკაზე. პროგრამის სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსების სწავლის შედეგები განისაზღვრება როგორც შვიდი ძირითადი

შედეგი (დეტალები სწავლის შედეგებში) კურსდამთავრებულის ცოდნა-გაცნობიერებასთან, შესაძლებლობებთან, პასუხისმგებლობასთან და ავტონომიურობასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის შედეგები თავისთავად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. თუმცა, მათ აქვთ მოსაზრება, რომ სემესტრში ერთად დაგეგმილი 3 ECTS მოდულების დომინირებამ შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტებისთვის პრობლემა დატვირთვის თვალსაზრისით, და ამიტომ ურჩევენ პროგრამის გუნდს ამ საკითხის განხილვას ბაკალავრიატის სტუდენტებთან, რათა შემოწმდეს, არის თუ არა ასეთი დატვირთვა მათთვის გამოწვევა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკითხული სტუდენტების თქმით, ისინი ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის და ანთროპოლოგიის კურსებს შორის პრობლემურ მსგავსებას პოულობენ. სილაბუსების განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სტუდენტებისთვის მოხდეს თითოეულ ამ დისციპლინის დიფერენციაციის უფრო მკაფიო იდენტიფიცირება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებში არის 120 ECTS, (მათ შორის 40 ECTS კვლევაზე, 80 ECTS სასწავლო) და სწავლა გრძელდება 4 სემესტრი. სწავლის ფორმატია მხოლოდ პირისპირ ყოველდღიური დასწრება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბაკალავრის ხარისხი, პრიორიტეტულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის, ხელოვნების ბაკალავრის და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური დონე. ბაკალავრის თანაბარი ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი; იგი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქართულ ენას (უცხოელი კანდიდატებისთვის - B2 დონეზე) და ინგლისური ენას მინიმუმ B2 დონეზე (ეს მოწმდება დიპლომის დანართით ან შესაბამისი, საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარდგენით); პროგრამაში ჩარიცხვის საფუძველია ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარება. დასაქმების სფერო აღწერილია როგორც სახელოვნებო და კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები; სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებენ პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილ ზოგად კომპეტენციებს; ფესტივალები; კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები; არქივები და მუზეუმები; ტელევიზია (მაუწყებლობა), რადიო, ბეჭდური მედია - ტელე-კინო, კულტურული ჟურნალისტიკის და სარედაქციო საქმიანობის მიმართულებით; ბიბლიოთეკები; მხატვრული პროფილის უმაღლესი, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები; მხატვრული პროფილის საგანმანათლებლო და შემოქმედებითი სტუდიები. ამ მიზნების გარდა, პროგრამაში ნათქვამია, რომ იგი მოიცავს ორ მოდულს: „ძველი ქართული ხელოვნება – კვლევა და კონსერვაცია“ და „XX საუკუნის ხელოვნება“. სტუდენტი ირჩევს მოცემული მოდულებიდან ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს პირველი წლის დასაწყისში. კონკრეტული მოდულის და, შესაბამისად, მასში შემავალი დისციპლინების არჩევა დამოკიდებულია იმაზე,

თუ რომელ კვლევით საკითხებზე სურს მაგისტრანტს მუშაობა - ანტიკური ხელოვნების ისტორიის პრობლემებზე, თუ მე-20 საუკუნის ხელოვნების საკითხებზე. ვინაიდან უნივერსიტეტი დაარსებიდანვე ისწავლება კინოსა და თეატრის დისციპლინები, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს, რომ "ხელოვნების ისტორია და თეორიის" პროგრამამ განავითაროს ურთიერთკავშირი ამ დისციპლინებთან, რაც შეიძლება გამოიხატოს შუალედურ თემებში ხელოვნების სცენოგრაფზე, ხელოვნების გავლენაზე კინემატოგრაფიაზე და სხვ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნე კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

სადოქტორო პროგრამის კრედიტების მოცულობა არის 60 ECTS, ხოლო სწავლა გრძელდება 6-10 სემესტრი. პროგრამაზე დასაშვებად პირს უნდა გააჩნდეს მაგისტრის ან ექვივალენტური აკადემიური ხარისხი (სასურველია ჰუმანიტარულ, სოციალურ, ხელოვნების მეცნიერებებში), ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რაც ფასდება დოქტორანტურის მისაღები გამოცდით (პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს ინგლისური ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ B2 დონეზე ჩაბარებული გამოცდის სერტიფიკატს, ან ინგლისური ენის ცოდნის საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam) თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან). პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები განისაზღვრება შემდეგნაირად: პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; კვლევითი ან ადმინისტრაციული საქმიანობა მუზეუმებში ან მეგლთა დაცვის ორგანიზაციებში (ხელმძღვანელ თანამდებობაზე); სამეცნიერო საქმიანობა კვლევით-სამეცნიერო დაწესებულებებში; სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში ადმინისტრაციული ან ხელოვნების მიმართულების სამუშაოს შესრულება (ხელმძღვანელ თანამდებობაზე); ხელოვნებათმცოდნე-ექსპერტად მუშაობა (საბაჟო სამსახურში, აუქციონებში, ბანკებში და ა.შ.); მუშაობს დამოუკიდებელ ექსპერტად ან მკვლევარად; დამოუკიდებელი პროექტის დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და განხორციელება; მუშაობა სამეცნიერო ჯგუფში, როგორც კონკრეტული დავალების შემსრულებელი, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელი. თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია სადოქტორო დონეზე დისერტაციის საერთაშორისო განხილვის პრინციპის არსებობა, ვინაიდან სწავლის შედეგების შეფასების და მათზე რეაგირების მექანიზმი წარმოადგენს პროგრამის გაუმჯობესების მძლავრ ინსტრუმენტს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან
- სწავლის შედეგების რუკა

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

1.5.1 მიზანშეწონილია, კლასტერმა გაითვალისწინოს თემები, რომლებიც ასახავს მიმდინარე (21-ე საუკუნე), უახლეს მიღწევებსა და ტენდენციებს სფეროში - კლასტერში.

1.5.2 მიზანშეწონილია, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერმა განავითაროს ურთიერთკავშირი კინოსა და თეატრის დისციპლინებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

1.5.3 მიზანშეწონილია, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მოხდეს ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და ანტროპოლოგიის დისციპლინის დიფერენციაციის უფრო მკაფიო იდენტიფიცირება.

1.5.4 მიზანშეწონილია, რომ სემესტრში 3 ECTS მოდულის რაოდენობა განიხილულ იქნეს ბაკალავრიატის სტუდენტებთან, რათა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ეს მათთვის პრობლემას სამუშაო დატვირთვის თვალსაზრისით.

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასეთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 - აკადემიური კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში მოცემულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს დარგის მახასიათებლებს და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, არსებობს შიდასაუნივერსიტეტო დებულება სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის შესახებ. ეს რეგულაცია გამოიყენება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურად გამოსაცხადებელი ადგილების რაოდენობის დასადგენად. როგორც აღწერილია, განიხილება სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა: თითოეული სტუდენტისთვის დათმობილი ფიზიკური სივრცე, აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობასთან შედარებით - რაც კლასტერში მოცემული პროგრამებისათვის არის 1/4, რაც ნიშნავს ერთ პროფესორს ოთხი სტუდენტისათვის.

როგორც ინტერვიუების დროს განმარტეს, ინფორმაციის ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი მიღებამდე ღიად ავრცელებს განცხადებას სხვადასხვა არხების გამოყენებით, როგორცაა ვებგვერდი, სოციალური მედია და ა.შ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

საქართველოში საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურები მკაცრად რეგულირდება ქვეყნის დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების მიხედვით დაიშვება მისთვის პრიორიტეტულ

სასწავლო პროგრამაზე. ტარდება ორი სავალდებულო გამოცდა ქართულ და ინგლისურ ენებში და ამ სასწავლო პროგრამას აბიტურიენტებს ემატება არჩევითი ისტორია ან ხელოვნების ისტორია. აბიტურიენტებს არ სჭირდებათ სხვა ნაბიჯის გადადგმა, რადგან არ არის დადგენილი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რაც საქართველოში მსგავსი პროგრამებისათვის წარმოადგენს გავრცელებულ პრაქტიკას.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოცემულ პროგრამაში ყველა ადგილი სრულად არის გამოყენებული და ყოველწლიურად ხდება საშუალოდ 50 სტუდენტის მიღება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

უნივერსიტეტის პოლიტიკის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამა ღიაა ყველასათვის, ვისაც უკვე აქვს ბაკალავრის ხარისხი რომელიმე დარგში, თუმცა პრიორიტეტი ენიჭება მათ, ვისაც დამთავრებული აქვს იგივე ან სხვა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ბაკალავრიატი. გარდა ამისა, ყველა აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს ეროვნული სამაგისტრო გამოცდა. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ მათ უნივერსიტეტში პროგრამაზე ჩარიცხვის განაცხადის შეტანის უფლება. აპლიკანტთა დარგობრივი ცოდნის დასადგენად უნივერსიტეტი თავად აწყობს ზეპირ გამოცდებს. წინასწარ განსაზღვრული თემები და ასევე რეკომენდებული ლიტერატურა წინასწარ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა სასწავლო პროგრამით დაინტერესებულ ყველა პირს ჰქონდეს მათზე წვდომა. ექსპერტთა ჯგუფმა ორჯერ გადაამოწმა თუ როგორ მუშაობს პროცედურები პრაქტიკაში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ პროგრამაში სწავლის დაწყებამდე გაიარეს ზემოთ აღნიშნული პროცედურები.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა მხოლოდ 7 სტუდენტი. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ აქტიურად შეუწყოს ხელი პროგრამაში მეტი სტუდენტის მოზიდვას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

აპლიკანტისათვის სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხავად რამდენიმე საფეხურიანი პროცედურაა გასავლელი. პირველ რიგში, მათ უნდა ჰქონდეთ მინიმუმ მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის კომპეტენცია მინიმუმ B2 დონეზე. არსებული რეგულაციის მიხედვით, თუ აპლიკანტი ვერ წარადგენს მოქმედ სერთიფიკატს, უნივერსიტეტი ადგილზე უწყობს ინგლისური ენის გამოცდას. მესამე საფეხურია გამოცდა/გასაუბრება კომიტეტთან. აპლიკანტები ამზადებენ ნაშრომს -კვლევით წინადადებას, რომელსაც წინასწარ წარადგენენ, ხოლო გასაუბრების დროს ახდენენ თავიანთი კვლევითი ინტერესების პრეზენტაციას. კომიტეტი, დარგის ექსპერტების მონაწილეობით,

იქმნება ყოველწლიურად. გასაუბრების შედეგების მიხედვით აპლიკანტები დაიშვებიან პროგრამაში. ექსპერტთა ჯგუფმა, როგორც დამატებითი დოკუმენტი, გამოითხოვა კვლევითი წინადადებები, რომლებსაც აპლიკანტები წარადგინენ და გაირკვა, რომ ეს ნაშრომები/წინადადებები წარმოდგენილია ნაბეჭდი ნაშრომის სახით. მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა ტარდება ზეპირად, კვლევითი წინადადებების ხარისხის გარანტირებისათვის, მიზანშეწონილია, რომ წინადადებები შემოწმდეს ნებისმიერი აკადემიური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად მანამ, სანამ გაიმართება გასაუბრება განმცხადებლებთან.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სადოქტორო პროგრამაზე მხოლოდ 3 სტუდენტი იყო დაშვებული. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ პროგრამას გაუწიოს პოპულარიზაცია პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის წესი
- საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობების მოთხოვნები
- სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობების მოთხოვნები
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობების მოთხოვნები
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

2.1.1 მიზანშეწონილია, დაწესებულებამ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია სამაგისტრო პროგრამას მეტი სტუდენტის მოსაზიდად.

პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

2.1.2 მიზანშეწონილია, თემის პროექტები შემოწმდეს ნებისმიერი აკადემიური გადაცდომის მხრივ, სანამ დოქტორანტების გასაუბრება ჩატარდება.

2.1.3 მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია სადოქტორო პროგრამას მეტი სტუდენტის მოსაზიდად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასეთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ცალკეული პრაქტიკული კურსები საქართველოს ხელოვნების ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობაში, ასევე არჩევით კურსი „ხატვისა და ფერწერის საფუძვლები“ ბაკალავრიატის დონეზე, მოიცავს სხვადასხვა ძეგლების, მუზეუმების და გამოფენების ვიზიტებს. ეს კურსები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას - ადგილზე მუშაობა გაზომვებსა და აღწერილობებზე, რაც წარმოადგენს ხელოვნების ისტორიული კვლევისა და ზოგადად მემკვიდრეობის კვლევის ნაწილს. ინტერვიუების დროს სტუდენტები ხშირად მოიხსენებდნენ ამ კურსებს, როგორც კარგი პრაქტიკის მნიშვნელოვან ელემენტს და ამბობდნენ, რომ ისინი დაეხმარნენ მათ შემდგომ დასაქმებაში გიდებად, მასწავლებლებად, ზოგადად მემკვიდრეობის სპეციალისტებად და ა.შ.

მუზეუმში ან სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სამაგისტრო პროგრამაში ერთსემესტრიანი პრაქტიკული სამუშაოს პროექტის დანერგვა კიდევ ერთი წინადადებული ნაბიჯია სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების საქმეში. თუმცა, ვინაიდან კონკრეტული პროგრამა შედარებით ახალია, ადგილზე ვიზიტის დროს გამოკითხულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ შანსი ესარგებლონ ამ შესაძლებლობით და, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა ამ პრაქტიკული სამუშაო კომპონენტის ეფექტურობა.

გაფორმებული ბევრი ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU) უნივერსიტეტსა და სხვადასხვა დაწესებულებებს, როგორც პრაქტიკის პროვაიდერებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ზოგად ჩარჩოებს (ყველა არ არის აუცილებელი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერისათვის). პრაქტიკული სამუშაოს დამატებითი დეტალები დაწვრილებით არის გაწერილი "პრაქტიკის დღიურის შაბლონში", რომელიც შემუშავებულია კურსის ფარგლებში. თუმცა შაბლონის შინაარსი ეხება მხოლოდ მუზეუმებში არსებულ კონკრეტულ სამუშაოს და არ ითვალისწინებს სხვა ტიპის ორგანიზაციებს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს მიზანშეწონილად.

პრაქტიკის მიმწოდებელი დაწესებულებების ჩამონათვალში, ძირითადად შედიან მუზეუმები, კვლევითი ინსტიტუტები, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამთავრობო სამინისტროები, უწყებები და სასტუმროები. რჩევის სახით, მომგებიანი იქნებოდა დაკავშირებოდა და ჩაერთოთ სხვა ტიპის ორგანიზაციები, როგორცაა

კულტურული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, თანამედროვე ხელოვნების გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რაც, თავის მხრივ, გაამრავალფეროვნებდა სტუდენტების უნარებს და შესაბამისად, მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებს.

ახალი კურსი „მეწარმეობა კულტურის სფეროში“, რომელიც შემუშავდა Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „უნივერსიტეტები-ინდუსტრიის დაკავშირება ჭკვიანი სამეწარმეო თანამშრომლობისა და სტუდენტების კონკურენტული ინტელექტის მეშვეობით მოლდოვაში, საქართველოსა და სომხეთში“ ფარგლებში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია მსგავსი კურსის ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამაში, რათა განავითაროს სტუდენტების თვითდასაქმების და სამეწარმეო უნარები და კომპეტენციები შემდეგ საფეხურზე მაგისტრატურაში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა ყოველწლიური კონფერენციები, რომლებიც ტარდება 2008 წლიდან, უქმნის შესაძლებლობას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, იმუშაონ სამეცნიერო ნაშრომებზე და განავითარონ პრეზენტაციის უნარები. დოქტორანტებს კი საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ხელოვნების მკვლევართა უნივერსიტეტის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში და გამოაქვეყნონ თავიანთი მიმოხილვები, სტატიები და ნაშრომები უნივერსიტეტის პერიოდულ გამოცემებში: გაზეთში "დურუჯი", ჟურნალში "ხელოვნების მეცნიერებათა კვლევა", "ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული".

მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუში ყველამ დაადასტურა მათი ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა დისერტაციის წერის პროცესში და მათი უფრო დიდი როლი კვლევითი უნარების განვითარებაში. ერთ-ერთმა დოქტორანტმა აღნიშნა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან სადოქტორო კვლევითი გრანტების მოპოვება, რაც ხელმისაწვდომი იქნება სხვა სტუდენტებისათვისაც კვლევითი უნარებისა და კონკურენტუნარიანობის დონის გაუმჯობესების შედეგად.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

არაა საჭირო

მტკიცებულება/ინდიკატორები

- სტუდენტთა მოხსენებები სტუდენტურ კონფერენციებზე, ჩატარებულ ექსპედიციებზე და ა.შ.
- განხორციელებული პრაქტიკა და პრაქტიკის დღიურები;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის დებულება;
- ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ (კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები) (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტები);

- სტუდენტების/დოქტორანტების გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები (მათ შორის თანაავტორობა);
- ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციების პროგრამები;
- ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენციების პროგრამები;
- ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით დოქტორანტების მიერ მოპოვებული გრანტები (რუსთაველის ფონდი), მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო კვლევითი პროექტები და მათში სტუდენტების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემები („დურუჯი“, „მელოვნების მეცნიერებათა ძიებანი““ <https://dziebani2.tafu.edu.ge/>; "ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კოლექცია" <https://artsmediajournal.tafu.edu.ge/>).
- დანართი 6: შრომის ბაზრის კვლევა;
- დანართი 7: უნივერსიტეტსა და პრაქტიკის მიმწოდებელ დაწესებულებებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები და მემორანდუმები
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები (მათ შორის პრაქტიკის დღიური შაბლონი)
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი და გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

2.2.1 მიზანშეწონილია, რომ „პრაქტიკის დღიურის შაბლონი“ გადაიხედოს კლასტერისთვის, რათა მოიცავდეს მასპინძელი ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპებს.

2.2.2 მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტმა ჩართოს ორგანიზაციების უფრო ფართო სპექტრი, როგორც პრაქტიკის პროვაიდერები, როგორცაა კულტურული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, თანამედროვე ხელოვნების გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რაც თავის მხრივ, გაამრავალფეროვნებს სტუდენტების უნარებს და შესაბამისად, მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

2.2.3 მიზანშეწონილია, „მეწარმეობა კულტურის სფეროში“ კურსის მსგავსი კურსის ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამაში, სტუდენტებისთვის თვითდასაქმებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით.

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნეობის პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ თითოეული კურსის/მოდულის სილაბუსში დეტალურად გაწერილი სწავლების მეთოდების გათვალისწინებით, კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დარგობრივი მახასიათებლების ნუსხა მუშავდება უმაღლესი სასწავლებლის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და, შესაბამისად, დოკუმენტის საპროექტო ვერსია გახდება სწავლება-სწავლის მეთოდების საცნობარო წყარო. სტუდენტური კოჰორტების მცირე ზომა საშუალებას აძლევს პედაგოგს დააბალანსოს დამკვიდრებული სწავლების მეთოდები, როგორცაა ლექციები, სემინარები და ჯგუფური დისკუსიები, რომლებიც ავითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობით, რაც პოზიტიურად აყენებს სტუდენტს სწავლის ცენტრში.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოკუმენტებს და გაიგო ინტერვიუებიდან, რომ დაგეგმილია ინოვაციური მიდგომები, როგორცაა პრაქტიკული მეცადინეობები მუზეუმში, ასევე საველე ვიზიტები, რაც მოიცავს ექსპონატების ადგილზე გაცნობას და ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ ფერწერისა და ხატვის სწავლების პარალელურად, ეს საველე მუშაობა კარგადაა შეფასებული სტუდენტების მიერ. იგი ხელს უწყობს და აძლევს მათ აქტიურ მონაწილეობის შესაძლებლობას და ავითარებს მათში ავტონომიურობას. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პრაქტიკული უნარების სწავლება, როგორც სასწავლო გამოცდილების ღირებული წყარო, ასევე ამზადებს სტუდენტებს კულტურის სექტორში სამუშაო ადგილზე სტაჟირებისათვის. დამსაქმებლებმა, რომლებსაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი, განმარტეს, რომ სტაჟირების დაწყებისას ისინი ითვალისწინებენ სტუდენტების დონეს და საჭიროებებს და უხამებენ მათ საკუთარი ორგანიზაციის საჭიროებებს - რითაც აძლიერებენ სამუშაო ადგილზე სწავლას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის დღიური მიჩნეულია ეფექტურ სასწავლო ინსტრუმენტად სტუდენტებისათვის. ასევე წარმოებს პედაგოგიური უნარების სწავლება დოქტორანტებისათვის.

პანდემიის დროს დისტანციური სწავლება-სწავლის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ ფაკულტეტის მენეჯმენტი გეგმავდა ზოგიერთი პოზიტიური პრაქტიკის შენარჩუნებას კოვიდის შემდგომ პერიოდში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ სამინისტრომ ეს არ დაუშვა. მიუხედავად ამისა, დისტანციური სწავლების დაწყება შესაძლებელია, თუ ამას მოითხოვს კონკრეტული გარემოება.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ტერმინი „ჯგუფური მუშაობა“ სწავლება-სწავლის მეთოდების მონახაზში თითოეულ სილაბუსში გამოიყენება სხვადასხვაგვარად, რაც, გარკვეულწილად, გაუგებარს ხდის ამ ტერმინის მნიშვნელობას. ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ ჯგუფური მუშაობა, რომელიც დაფუძნებულია დისკუსიაზე,

გამოირჩეოდა ჯგუფური მუშაობისგან, რომელშიც სტუდენტები იზიარებენ პრაქტიკულ დავალებას ან ერთობლივად მუშაობენ კვლევის თემაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს შეფასების სხვა მეთოდი ჯგუფური მუშაობისათვის.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

არაა საჭირო

მტკიცებულება/ინდიკატორები

- BA 004.03. 072.ა - საქართველოს ხელოვნების ისტორია
- BA 004.03.099 – საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)
- MA 004.03.074-ა მუზეუმი და მუზეუმის მენეჯმენტი
- საშუალო სკოლის პედაგოგიკის კურსი
- ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსების სილაბუსები
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დოკუმენტები
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან, ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3
სახელოვნებათმცოდნე
კვლევების სადოქტორო
პროგრამა (ქართული
ხელოვნება მსოფლიო
ხელოვნების კონტექსტში)
დონე 8

X

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს შეფასების სისტემა დაყოფილია შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების ჯამური ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების კონკრეტული წილი შეადგენს სულ 60 ქულას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობას სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტს) - არაუმეტეს 30 ქულისა

შუალედური გამოცდას - არანაკლებ 20 ქულისა

დასკვნით გამოცდას - 40 ქულა

დასკვნითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის დონე არ არის 21 ქულაზე ნაკლები.

შეფასების სისტემა იძლევა:

ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

ა.ა. (A) ფრიადი - 91-100 ქულა

ა.ბ. (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა

ა.გ. (C) კარგი - 71-80 ქულა

ა.დ. (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

ა.ე. (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა.) (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გავიდეს დამატებით გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება საბოლოო გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დასკვნით გამოცდაზე მოსწავლის მინიმალური შეფასება განისაზღვრება 20 ქულით.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სისტემა ზოგადად შეესაბამება სტანდარტებს, არსებობს გაუმჯობესების რამდენიმე სფერო:

ყველა პროგრამის თითქმის ყველა სილაბუსში, შეფასების სისტემაში ვხვდებით შენიშვნას, რომ სტუდენტმა აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ დამხმარე ლიტერატურა არ იყოს სავალდებულო და არ იმოქმედოს სტუდენტის შეფასების ქულაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გამოყოფილი ქულების რუბრიკები ზოგადად დეტალურია, დეტალურობის იგივე დონე აკლია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და სხვა წერილობითი დავალებების შეფასებას. უნივერსიტეტს გააჩნია ცალკე დოკუმენტი, რომელიც ასახავს წერილი დავალებების სტანდარტებს. ამ დოკუმენტში ვხედავთ, რომ წერილი დავალებები ფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:

ტექნიკური მხარე:

ზოგად სტანდარტებთან შესაბამისობა (10%);

გრამატიკული, სტილისტური და სტრუქტურული სიმწყობრე (10%);

შინაარსობრივი მხარე:

მასალის ცოდნის სიღრმე, პროფესიული ტერმინოლოგიის ფლობა (20%);

მასალის ლოგიკურად, დასკვნებით გადმოცემა (20%);

სავალდებულო ლიტერატურის გააზრება და მასალის ანალიტიკური გაგება (20%).

პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: მოწოდებული მასალის ვიზუალური მხარე (10%);

მომხსენებლის ლოგიკა, დამაჯერებლობა და დისკუსიის უნარი (10%).

ამ სქემაში ჩვენ ვხვდებით 10 და უფრო მეტიც 20 ქულიან მნიშვნელოვან ინტერვალებს.

ექსპერტთა ჯგუფი იძლევა ამ ინტერვალების მინიმუმამდე შემცირების რეკომენდაციას წერილობითი დავალებების უფრო დეტალური შეფასების სქემის შეთავაზებით. ეს გააძლიერებს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს უფრო მკაფიო ინსტრუქტირებას ასეთი დავალებების შეფასებისას.

ჩვენ ასევე ვხედავთ ბევრი სილაბუსის შეფასების სქემაში, რომ დასწრება/აქტივობას ენიჭება 15 ქულა. მაგალითად, შეგვიძლია ავიღოთ ხელოვნების თეორიის სილაბუსი:

დასწრება და აქტივობა - 15 ქულა.

სტუდენტი ფასდება მისი აქტივობით საკონტაქტო საათებში: მონაწილეობა დისკუსიაში, ჯგუფურ მუშაობაში და ა.შ.

სემინარები, ჯგუფური სამუშაოები, დავალებები და სხვა (სულ 25 ქულა (5X5)):

5 ქულა: სტუდენტი წარმოადგენს დავალებებს მითითებულ ვადებში და სისტემატურად, სკრუპულოზურად ეუფლება პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის საპროგრამო მასალას და ტერმინოლოგიას; მაღალია მისი ჩართულობის ხარისხი ჯგუფურ მუშაობაში; წაიკითხა და გაიგო საჭირო საკითხი; წარმოადგენს მასალას ქართულ ენაზე თავისუფლად, ლოგიკურად და დასკვნებით.

4,5 ქულა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს მითითებულ ვადებში და სისტემატურად, ეუფლება პროგრამით მოთხოვნილ შესაბამის პროგრამულ მასალას და ტერმინოლოგიას, აქვს მცირე ხარვეზები, მაგრამ მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე. მაღალია მისი ჩართულობის ხარისხი ჯგუფურ მუშაობაში; წაიკითხა და გაიგო საჭირო საკითხი; წარმოადგენს მასალას ქართულ ენაზე თავისუფლად, ლოგიკურად და დასკვნებით.

4 ქულა: სტუდენტი წარმოადგენს დავალებებს მითითებულ ვადებში და სისტემატურად, ეუფლება პროგრამით მოთხოვნილ შესაბამის პროგრამულ მასალას და ტერმინოლოგიას, აქვს მცირე ხარვეზები, მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე და მცირე შეცდომები ტერმინოლოგიაში; ის ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში; წაიკითხა და გაიაზრა საჭირო საკითხი; მასალას წარმოადგენს თავისუფლად ქართულ ენაზე.

3,5 ქულა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადაში, გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე აითვისა საპროგრამო მასალა; ტერმინები, რომლებსაც ის იყენებს, ძირითადად სწორია, თუმცა ზოგჯერ არაზუსტია; წაიკითხა და გაიგო საჭირო საკითხი და ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში; ის აქტიურია და მოქმედებს შეთანხმებულად.

3 ქულა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს მითითებულ ვადებში, აითვისა სასწავლო გეგმის შესაბამისი მასალა, აქვს გარკვეული ხარვეზები და ზოგჯერ უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს; ავლენს სავალდებულო ლიტერატურის ცოდნას, ტერმინები, რომლებსაც იყენებს არაზუსტია; ის ზოგჯერ არ მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში და ნაკლებად აქტიურია.

2,5 ქულა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს მითითებულ ვადებში, აითვისა სასწავლო გეგმის შესაბამისი მასალა, მაგრამ მნიშვნელოვანი ხარვეზებით და ხშირად უშვებს შეცდომებს; ის იშვიათად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას; ის ზოგჯერ არ მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში და ნაკლებად აქტიურია.

2 ქულა: სტუდენტი წარმოადგენს დავალებებს მითითებულ ვადებში, ასრულებს დავალებების ნახევარს მაინც. ის თითქმის არასოდეს იყენებს ტერმინებს. ნაკლებად აქტიურია ჯგუფურ მუშაობაში.

1,5 ქულა: მოსწავლე დავალებებს წარმოადგენს მითითებულ ვადებში, დავალებებს ასრულებს მხოლოდ ნაწილობრივ; ის არ იყენებს ტერმინებს; მისი ჯგუფში ჩართულობა სუსტია და ის ნაკლებად აქტიურია.

1 ქულა: სტუდენტი ვერ წარმოადგენს დავალებებს მითითებულ ვადებში, აჩვენებს დავალების მხოლოდ ნაწილობრივ, ზედაპირულ ცოდნას რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომით, ჯგუფურ მუშაობაში მისი ჩართულობის ხარისხი ძალიან სუსტია.

0 ქულა: სტუდენტი არასოდეს ყოფილა ჩართული ჯგუფურ მუშაობაში და უმეტესად იფარგლება დაკვირვებით.

შუალედური გამოცდა (20 ქულა):

დასკვნითი გამოცდა (40 ქულა):

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი სხვა ასპექტი და მიზანი, რომელიც მოითხოვს შეფასებას უბრალო აქტივობის მიღმა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დასწრებისათვის/აქტივობისათვის 15 არადეტალური ქულის მინიჭება, გარდა 5 სემინარისა (რომელიც ასევე წარმოადგენს აქტივობის ფორმას), შეიძლება არ უზრუნველყოფდეს ქულების ყველაზე ოპტიმალურ განაწილებას.

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს 15 ქულიანი დასწრება/აქტივობის კრიტერიუმების მოხსნას.

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წერილობით კომპონენტებზე გამოყოფილი ქულების გაზრდას. ეს კომპონენტი სავარაუდოდ სრულად უნდა მოიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორცაა აკადემიური წერის სტილის გამოყენება, წყაროების ზუსტი მითითება და სხვა შესაბამის მოსაზრებებს.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

არაა საჭირო

მტკიცებულება/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს No5 (17/18) დადგენილება 15.09.2019წ.; No6, (22/23) 16.09.2022 - მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტუდენტთა შეფასების სისტემა
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No9 (17/18) დადგენილება გამოცდების გასაჩივრების წესის შესახებ.
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- წერილი დავალებების საუნივერსიტეტო სტანდარტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

2.4.1 რეკომენდებულია, დამხმარე ლიტერატურა სამივე პროგრამაში არ იყოს სავალდებულო და არ იმოქმედოს სტუდენტის ქულაზე.

2.4.2 რეკომენდებულია, უსდ-მ ამოიღოს გადასწრება/აქტივობაზე გამოყოფილი 15 ქულა.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

რეკომენდაციები:

2.4.3 რეკომენდებულია, საბაკალავრო პროგრამის წერითი დავალებები და მათზე გამოყოფილი ქულები გაიზარდოს და უფრო დეტალური გახდეს.

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

რეკომენდაციები:

2.4.4 რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის წერითი დავალებების გრაფები და მათზე გამოყოფილი ქულები გაიზარდოს და უფრო დეტალური გახდეს.

პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლებების ადეკვატურობის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამ ჯგუფის პროგრამების სტანდარტის კომპონენტი მოიცავს პროფესორების მხრიდან სტუდენტების ხელმძღვანელობის ხელმისაწვდომობას საჭიროებისამებრ. პროფესორები მზად არიან კონსულტაციისათვის და სტუდენტებს შეუძლიათ მარტივად დაუკავშირდნენ მათ კურსებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად. შენობას, სადაც პროგრამები მიმდინარეობს, აქვს ბევრი სივრცე სტუდენტ-პროფესორთა კონსულტაციების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ასეთი კონსულტაციებისთვის ხშირად გამოიყენება დისტანციური ონლაინ შეხვედრები, რაც პროცესს მოქნილობას მატებს. ყოველივე ეს ეხმარება სტუდენტების წვდომას იმ რესურსებზე და მხარდაჭერაზე, რომელიც მათ სჭირდებათ პროგრამაში წარმატების მისაღწევად.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტები ძალიან აფასებენ ადმინისტრაციულ პერსონალს და განსაკუთრებით დეკანატის რეაგირებას სტუდენტების საჭიროებებზე. მოქმედმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული პერსონალი სწავლის დაწყებიდანვე აწვდიდა მათ ყველა საჭირო ინფორმაციას. რეგულარული ელექტრონული წერილებით ისინი ასევე ინფორმირებულნი არიან ახალი კონფერენციების, ვაკანსიების და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებითაც შეიძლება დაინტერესდნენ. ეს სტუდენტებს ეხმარება შესაძლებლობების თაობაზე ინფორმაციის მიღებასა და მომავალი კარიერის დაგეგმვაში.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტუდენტებს საშუალება აქვთ ექსკურსიებსა და საველე გასვლებში მიიღონ მონაწილეობა, რაც აძლიერებს მათ როგორც სამეცნიერო ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებსა და გამოცდილებას. ამ სახის გამოცდილება არის როგორც მომგებიანი, ასევე სასარგებლო მათი პირადი და პროფესიული სრულყოფისათვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ამაყობს რესურსების კოლექციით, მათ შორის ციფრული წიგნებით, და ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებს წვდომას სხვა ბიბლიოთეკების წიგნებზე, რაც აუმჯობესებს მათ კვლევასა და შესწავლას.

უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობს კონფერენციებს და აქვეყნებს შეგროვებულ ნაშრომებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ სხვა დაწესებულებების გამოჩენილ მოღვაწეებს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მათ, რათა გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები და გახდნენ აკადემიური საზოგადოების ნაწილი. ეს ღონისძიებები სტუდენტებს სთავაზობს სწავლისა და განვითარების ღირებულ შესაძლებლობებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს დოქტორანტების მუშაობის გაუმჯობესებას ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, როგორც ქვეყნის გარეთ გამართულ

საერთაშორისო კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერით, ასევე მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებით.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

არაა საჭირო

მტკიცებულება/ინდიკატორები

- სილაბუსები
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმი
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ადგილზე ვიზიტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8

რჩევები:

3.1.1 მიზანშეწონილია, დოქტორანტების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერით, აგრეთვე მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი იძლევა მკაფიო და ამომწურავ ინფორმაციას ნაშრომების ხელმძღვანელობის პროცესის შესახებ. სტუდენტებმა განაცხადეს თავიანთი პოზიტიური გამოცდილების შესახებ ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის თაობაზე, იქნება ეს პირადად თუ ონლაინ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფაკულტეტზე საკომუნიკაციო არხები ფუნქციონირებს და სტუდენტები თავს კომფორტულად გრძნობენ ხელმძღვანელებთან ურთიერთობისას.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა მკაცრად კონტროლდება დადგენილი გაიდლაინების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო ზედამხედველობის ეფექტიანად წარმართვა. სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება ამ პროცესის განმავლობაში აკადემიური გუნდის მიერ გაწეული მხარდაჭერითა და მათი გამოცდილებით.

აკადემიური პერსონალი არის საკმაოდ კვალიფიციური თავის სფეროებში და აქვს სტუდენტების სწავლებისა და მენტორობის გამოცდილება. დისერტაციის ხელმძღვანელის შერჩევა ეფუძნება შესაბამის სფეროებში მათ კვლევით გამოცდილებას.

დოქტორანტი ვალდებული არიან გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომი რეცენზირებად ჟურნალებში. მათ ასევე შეუძლიათ მოითხოვონ ფინანსური მხარდაჭერა, რათა დაფარონ თავიანთი სტატიების გამოქვეყნების ხარჯები. ეს არა მხოლოდ ეხმარება სტუდენტებს გაავრცელონ თავიანთი კვლევები უფრო ფართო სამეცნიერო საზოგადოებაში, არამედ აძლევს მათ თავიანთი პროფესიული რეპუტაციის განვითარების საშუალებას.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 2- სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება - კვლევა და კონსერვაცია) დონე მე-7	
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)⁷	
მაგისტრანტთა ხელმძღვანელების რაოდენობა	5
მაგისტრანტთა რაოდენობა	3
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1,67

მაგისტრანტთა/დოქტორანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
პროგრამა 3 სადოქტორო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე მე-8	
სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა	3
დოქტორანტთა რაოდენობა	3
თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები	1

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმი
- ადგილზე ვიზიტი ობიექტებში

⁷ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

- ინტერვიუები მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ინტერვიუები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	არ არის რელევანტური	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე 7				
პროგრამა 3 სახელოვნებათმცოდნე კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია პროგრამების განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგლამენტის შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზში დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებს და მოქმედ კანონმდებლობას. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - მათ აქვთ საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი და ასევე პროფესიული გამოცდილება. გარდა ამისა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ, როგორც მაგისტრანტების

სამეცნიერო ხელმძღვანელებს, გამოქვეყნებული აქვთ შესაბამისი პროფილის შრომები: მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო აღიარების რეფერენტ ჟურნალებში და ა.შ. კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკის განახლება ყოველ სემესტრში და მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა აქტივობებს. დატვირთვის ანალიზი აჩვენებს, რომ უზრუნველყოფილია პროგრამების შეუფერხებლად განხორციელება და პერსონალის მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება.

სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ სტუდენტების კმაყოფილება ადმინისტრაციული პერსონალითა და მათი კომპეტენციის დონით დამხმარე როლებში დამაკმაყოფილებელია.

პროგრამების ხელმძღვანელი არის დარგის წამყვანი სპეციალისტი, აქვს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენციები და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის მართვასა და განხორციელებაში. ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებულია პროგრამების ხელმძღვანელის ძალიან მაღალი დატვირთვით, რომელიც პასუხისმგებელია: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, ხელოვნების მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხელმძღვანელობაზე, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნაწილზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6

საქადალდე არ შეიცავს სხვადასხვა ტიპის პროფესორების/მასწავლებლების პირად საქმეებს, რაც საშუალებას მისცემს და ექსპერტთა ჯგუფს შეევესო შესაბამისი ცხრილი საბაკალავრო პროგრამისათვის.

ცხრილი 1. პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) დონე მე-6 ⁸				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს დარგის მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	26			
- პროფესორი:	5			

⁸ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

- ასოცირებული პროფესორი	13			
- ასისტენტ-პროფესორი	6			
- ასისტენტი	2			
მოწვეული პერსონალი	26			
სამეცნიერო პერსონალი	5			

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) დონე მე-7

